ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ზურაბ კობალაძე

მართლმადიდებლობის როლი ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

გიორგი მელიქიძე, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

საქართველოში მართლმადიდებლობას განსაკუთრებული როლი უჭირავს ქვეყნის ისტორიაში. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დადგინდეს მართლმადიდებლობის როლი, ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში. მართლმადიდებლობის სპეციფიკური როლი, ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში, სულაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს სეკულარულ წყობას. აუცილებელია ზომიერი შუალედის პოვნა, რაც გულისხმობს ეკლესიისა და სახელმწიფოს ინსტიტუციური ძალაუფლების ურთიერთგამიჯნვას.

ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ბოლო დროს, აღინიშნება ამ თემის აქტუალურობა დღევანდელ საქართველოში. არსებობს უამრავი ურთიერთდაპირისპირებული აზრი, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. სწორედ ამ საკითხის ანალიზი წარმოადგენს ჩემი კვლევის ინტერესს. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის გამოვლინებაზეა დამოკიდებული, ეროვნული ინტერესების განხორციელება საქართველოში. გარდა ამისა, ხაზგასასმელია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მნიშვნელოვანი ადგილი ქართულ საზოგადოებაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია პატრიარქის ეპისტოლეების ანალიზი. კვლევის პროცესში გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია: შინაარსობრივი კონტენტ-ანალიზის მეშვეობით, მიმოვიხილე 1978-2019 წლების პატრიარქის ეპისტოლეები. დამატებით, ექსპერტული ინტერვიუების დახმარებით, შევეცადე მიმეღო ობიექტური შედეგები, საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

უამრავი მოსაზრების არსებობის მიუხედავად, კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ძირითადი დასკვნები იმის შესახებ, რომ ეროვნული ინტერესების განხორციელება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ვლინდება დღევანდელ საქართველოში, მართლმადიდებლობა და ქართული ნაციონალიზმი.

Abstract

The Eastern Orthodox Christianity in Georgia has a special role in the history of our country. The aim of the presented master's thesis is to determine the role of the Eastern Orthodox Christianity in the formation of Georgian nationalism. The specific role of the Eastern Orthodox Christianity in the formation of Georgian nationalism does not contradict the secular order of Georgia. It is necessary to find a moderate interval that involves separation of the church and the institutional power of our country. There are many contradictory opinions about this issue. The analysis of this issue is the interest of my research.

According to research hypothesis, implementation of national interests, depends on the emergence of Georgian nationalism based on the Eastern Orthodox Christianity values. In addition, it is important to highlight the important role of Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II in Georgian society. Based on this, it is important to analyze the epistles of the Patriarch. In the course of the research I used the qualitative research methodology to review the epistles of the Patriarch. In addition, with the help of expert interviews, I tried to get objective results for my research.

Based on the research it was established that the implementation of national interests mostly depends on the values of The Eastern Orthodox Christianity and Georgian nationalism in Georgia.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I: ერის, ეროვნულობისა და ნაციონალიზმის განმარტებები 22

თავი II: ეროვნული (ნაციონალური) ინტერესები საქართველოში 28

თავი III: მართლმადიდებლობის როლი ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში 31

3.1 საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა ეროვნული ფასეულობების ფორმირებაზე 34

3.2 საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობა, პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირების პროცესში 40

თავი IV: მართლმადიდებლობის როლი ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში, ილია მეორის ეპისტოლეების ანალიზის საფუძველზე 43

თავი V: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული ნაციონალიზმის მნიშვნელობა დღევანდელ საქართველოში 53

დასკვნა 58

გამოყენებული ლიტერატურა 61

შესავალი

მოცემული ნაშრომის მთავარი მიზანი არის, მკითხველს უკეთ გააცნოს მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის ძირითადი ასპექტები და აჩვენოს, რომ ის არ არის დაკავშირებული ქრისტეანულ ექსპანსიონიზმთან და არც რელიგიურ შოვინიზმთან. საკვლევი თემა ასევე მოიცავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლს ქართულ რეალობაში და მის მონაწილეობას ქართული, ეროვნული ინტერესების იმპლემენტაციის კუთხით. მიმდინარე საკითხის უკეთ გამოსაკვლევად, აუცილებელია ზოგადად ნაციონალიზმისა და ქართული ნაციონალიზმის მიმოხილვა ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, რაც მჭიდროდ უკავშირდებოდა ქართულ, ნაციონალურ იდენტობას და მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ქართულ პოლიტიკურ კურსს, საუკუნეების განმავლობაში.

მიმდინარე ნაშრომის მთავარი დანიშნულება და სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ნათლად წარმოგვიდგენს, მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის უპირატესობებს, რაც დილეტანტური შეხედულების გამო, არასწორად არის დანახული. ასევე ნაშრომი იმით არის საინტერესო, რომ საკვლევი საკითხი სამეცნიერო დონეზეა განხილული, ავტორიტეტული კორიფეების ძირითადი ნაშრომების მიხედვით, რაც საფუძველშივე გულისხმობს, ქართული ნაციონალიზმის შესახებ გავრცელებული ინსინუაციების განეიტრალებას, რაც ასევე დაკავშირებულია ქართული ეკლესიის მოღვაწეობასთან. ნაშრომის წაკითხვის შემდეგ, შესაძლებელი გახდება, ობიექტური და მიუკერძოებელი მსჯელობა ქართულ ნაციონალიზმზე, რომელიც განმსჭვალულია მართლმადიდებლური ფასეულობებით და დაცლილი იქნება მანიპულირებადი აზრებისაგან და შესაძლებელი გახდება, მაქსიმალური გამჭვირვალობით მოხდეს რეტროსპექტული მოვლენების ადეკვატური ანალიზი.

საკვლევი საკითხის ქვაკუთხედს წარმოადგენს, ილია მეორის ეპისტოლეები, ილია ჭავჭავაძისეული ქართული ნაციონალიზმის ძირითადი ასპექტები, რომელთა ძირითადი საყრდენია სამი ბურჯი: „მამული, ენა, სარწმუნოება'' და მიხეილ (მიხაკო)

წერეთლის ნაშრომი: „ოთხი ცნება", რომელშიც განხილულია ნაციონალიზმის დოქტრინალური მნიშვნელობა და გავლენა, როგორც გლობალური, ასევე ლოკალური, ანუ საქართველოს მასშტაბით. ასევე იმ ისტორიული გარემოებების დახასიათება, რამაც გამოიწვია ნაციონალიზმის მნიშვნელობის წინ წამოწევა და უმთავრესი როლი, ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. ასევე მხედველობაშია, ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიად ჩამოყალიბების ეტაპები მეცხრამეტე საუკუნეში, რაც უკავშირდება დიმიტრი ყიფიანის სიკვდილს. (ლორთქიფანიძე, 2017).

დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი დაგვირგვინდა „პირველდასელებისა" და „თერგდალეულების" გამოჩენით, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით. სწორედ მათთან ვხვდებით თვალნათლივ, ქართული ნაციონალიზმის უმთავრეს ღირებულებებს. „ამას მოჰყვა „საერთო ნიადაგის" თეორიის განვითარება არჩილ ჯორჯაძის მიერ, რომელმაც გაიზიარა ეროვნული იდეოლოგიის, ენის შენარჩუნების, ეკლესიის დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და ილიას დაფუძნებულ პლატფორმას ეკონომიკური და სოციალური საწყისები შეჰმატა." (ლორთქიფანიძე, 2017).

რაც შეეხება საკვლევ პროგრამასა და საკითხის კონტექსტს, აქ უმთავრესია მართლმადიდებლობაზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის განხილვა იმის მიხედვით, თუ რამდენად ახდენს გავლენას, ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის საჭირო ეროვნული ინტერესების იმპლემენტირებაზე, რაც უშუალოდ ჩემ მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზას უკავშირდება. შესაბამისად, ამ ნაშრომის გაცნობით, მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნება იმის თაობაზე, თუ საიდან იღებს სათავეს ნაციონალიზმი, რაში ვლინდება ქართული ნაციონალიზმი და კონკრეტულად, რა გავლენას ახდენს საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური კურსის პრაქტიკულ რეალიზებაზე. სამწუხაროდ, ქართული ნაციონალიზმი ხშირად უკავშირდება შოვინიზმსა და რელიგიურ ექსპანსიონიზმს, რაც მხოლოდ დილეტანტური ხედვით არის განპირობებული.

საბოლოო ჯამში, მოცემული ნაშრომის მთავარი განსახილველი თემაა ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი დღეს, მართლმადიდებლური ფასეულობებით ხელმძღვანელობა და რამდენად განაპირობებს ქართული სახელმწიფოებრიობის სიცოცხლისუნარიანობას. რამდენად ეთანაწყობა მსოფლიოში მიმდინარე

გლობალიზაციის პროცესებს და რა განაპირობებს მის ფუნდამენტურ როლს, ეროვნული ინტერესების იმპლემენტირების საქმეში. მაშასადამე, თანამედროვე პოლიტიკური სტატუს-კვოს ანალიზის საფუძველზე, იმის დადგენა თუ რამდენად წარმოჩინდება ქრისტეანული ნაციონალიზმის მნიშვნელობა და განვითარების ვექტორები, რამდენად იცავს ქართული სახელმწიფოს ინტერესებსა და ეროვნულ იდენტობას.

მოცემული ნაშრომის გაცნობა, უზრუნველყოფს მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის შესახებ, ობიექტური მონაცემების მიღებასა და მის სიღრმისეულ ანალიზს, ისტორიული და ეროვნულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

საკვლევი თემის აქტუალურობა - საკვლევი თემის აქტუალურობა განაპირობა შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ, როგორც სახელმწიფოებრივ ასევე საერთაშორისო დონეზე. საქართველო იმყოფება ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში, მიუხედავად არჩეული დასავლური კურსისა.

ქართული ნაციონალიზმი, მე-19 საუკუნიდან, ილია ჭავჭავაძესა და თერგდალეულებს უკავშირდება. 1989 წლიდან ჩნდება პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმი. დღევანდელ რეალობაში, ნაციონალიზმი წმინდა სახით აღარ გვხვდება. (ლორთქიფანიძე, 2017).

რაც შეეხება საკვლევ თემას, ქართული ნაციონალიზმი, რომელიც ეყრდნობა მართლმადიდებლურ ფასეულობებს, შედარებით ნაკლებად შესწავლილი თემაა, მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში. პოლიტიკური სტატუს კვოდან გამომდინარე, გამოიკვეთა დღევანდელი განუკითხაობა, საზოგადოების პოლიტიკური გაუთვითცნობიერებლობა, გულგრილობა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ. ეს ყველაფერი გამოწვეულია მართლმადიდებლური ფასეულობების მიჩქმალვით ქართულ აზროვნებასა და პოლიტიკურ რეალობაში.

მართლმადიდებლობით შთაგონებული ქართული ნაციონალიზმი, საქართველოს მრავალსაუკუნეობრივი ისტორიის მანძილზე, ქართული ცნობიერების ეროვნულობის ფუნდამენტი გახლდათ. ქართველობა იქცა მართლმადიდებლობის სინონიმად და საზოგადოებაში, ეროვნება მიბმული იყო რელიგიაზე, საერთო მრწამსზე,

რომელიც ერთიანი იყო სახელმწიფოს მასშტაბით. რელიგიური მრწამსის შეცვლა, ამ შემთხვევაში მართლმადიდებლობისა, ეროვნებაზე უარის თქმას ნიშნავდა.

დღესდღეობით სიტუაცია შეიცვალა და კვლავაც გრძელდება ბჭობა იმაზე თუ რამდენად უნდა ერეოდეს რელიგიური ორგანიზაცია (ეკლესია), სახელმწიფო საქმიანობაში. ამასთანავე, მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმი, საშუალებას იძლევა გამოსწორდეს შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და შეიცვალოს დამოკიდებულება ეროვნული პოლიტიკის მიმართ, რაც გამოიხატება იმაში, რომ ის უნივერსალური ფენომენია, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს მოწყობის პრინციპებსაც. ასევე საინტერესოა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თითქოსდა მართლმადიდებლური ღირებულებები ეწინააღმდეგება საქვეყნოდ აღიარებულ ფასეულობებს და იწვევს ქვეყნის პოლიტიკურ დესტაბილიზაციას. ერთ-ერთი არგუმენტია მამალაძის გახმაურებული საქმე, რომელმაც საპატრიარქო, უარყოფითი კონტექსტით დაგვანახა.

დღემდე მიმდინარეობს დავა, ეკლესიის პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევის შესახებ. ამის მაგალითია კანაფის საქმე, როდესაც ივანიშვილის მთავრობამ გადაწყვიტა მისი ექსპორტირება, ეკლესია კი ზეწოლის ჯგუფის სახით მოგვევლინა. მოსახლეობის სეკულარულად განწყობილი ნაწილი თვლის, რომ მთავრობის მიერ დათმობის შემთხვევაში, შეუზღუდავად გაძლიერდება ეკლესიის ძალაუფლება პოლიტიკურ საკითხებში. მაშასადამე, ისტორიული მეხსიერებიდან და დღევანდელობიდან გამომდინარე, აუცილებელი და მნიშვნელოვანია მოცემულ საკითხზე ყურადღების გამახვილება, მისი სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი.

საკვლევი კითხვა: რამდენად არის დაკავშირებული მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის გამოვლინებები, ეროვნული ინტერესების განხორციელებასთან საქართველოში?

დამოუკიდებელი ცვლადი: მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმი.

დამოკიდებული ცვლადი: ეროვნული ინტერესების განხორციელება საქართველოში.

ჰიპოთეზა: რაც უფრო ნაკლებად ვლინდება მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის ღირებულებები ქართულ რეალობაში, მით უფრო ნაკლებად ხდება ეროვნული ინტერესების განხორციელება საქართველოში.

ანალიზის ერთეული: მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმი.

ლიტერატურის მიმოხილვა – ნაციონალიზმი, ქართულ ეროვნულ იდენტობაზე დაყრდნობით, წარმოადგენს საკუთარ ქვეყანასთან დაკავშირებლობის განცდას. ეს არის იდეოლოგია, რომელიც მოიაზრებს ადამიანის კუთვნილებას რომელიმე ერისადმი.

ნაციონალიზმი სათავეს იღებს საფრანგეთში, სადაც ის ჩამოყალიბდა 1793 წლის რევოლუციის შემდეგ. საქართველოში ნაციონალისტური იდეოლოგიის თაურსაწყისად ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები გვევლინებიან. ეროვნული და ნაციონალური იდენტობის განცდა, ბუნებრივად ახასიათებს ყველა სახელმწიფოს. ამიტომაც მისი შესწავლა უმნიშვნელოვანესია, რადგანაც უამრავ ფაქტორზე მოქმედებს და ზოგჯერ პრობლემურიც კი ხდება. (ადამია, 2015).

აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში ნაციონალიზმი გადაჯაჭვულია რელიგიასთან. ეს გამოწვეულია ისტორიული წარსულით, როცა ეკლესია და სახელმწიფო ერთად მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვაში. ამან კულმინაციას მიაღწია დავით აღმაშენებლის დროს და როდესაც ამ ორ ინსტიტუტს შორის აღარ სუფევდა გაორება და კონფრონტაცია, საქართველოში დადგა ''ოქროს ხანა''.

მიუხედავად ყველაფრისა, დღეს ნაციონალიზმი წმინდა სახით აღარ გვხვდება, რაც დასანანია, რადგანაც ნაციონალიზმი ფუნდამენტურადაა დაკავშირებული ერის ცნებასთან და რაღა თქმა უნდა კონკრეტული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების განხორციელებასთან. მინდა გავამახვილო ყურადღება სტატიაზე, რომელიც განიხილავს მართლმადიდებლობასა და ეთნონაციონალიზმს.

ჩემს მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის გავლენის კლება პირდაპირპროპორციულად იწვევს ეროვნული ინტერესების განხორციელების კლებასაც და პირიქით, მისი გავლენის გაზრდა, აძლიერებს ეროვნული ინტერესების

გატარების შესაძლებლობას. ამ ჰიპოთეზას ამყარებს, სტატიაში: „მართლმადიდებლური ეთნონაციონალიზმი|ქართული ელექტრონული დისკურსი'', ილია მეორის სიტყვები, რომლებიც ამოღებულია საშობაო ეპისტოლედან: „უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა. ესაა სულიერი ღირებულებები (რაც გულისხმობს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა. ქართულმა იდეამ რომ ხორცი შეისხას და განვითარდეს, საჭიროა გაერთიანდეს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ეკლესიის ძალისხმევა." (ილია II, საშობაო ეპისტოლე, 2007).

მოცემული ციტატა მიუთითებს ეროვნულ-კულტურული ფასეულობებისა და მართლმადიდებლობის მნიშვნელობაზე ქართული სახელმწიფოსათვის. ხაზგასმულია მათი ურთიერთმიმართება, ანუ ქართული იდეის განსახორციელებლად, რომელიც შეგვიძლია დავაკავშიროთ ეროვნული ინტერესების განხორციელებასთან, პირდაპირაა დაკავშირებული სულიერ ღირებულებებთან ანუ ქრისტეანულ მრწამსთან. ქართული იდეისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მისი საარსებო გარემოს არსებობა, რაც ციტატიდანაც ჩანს, რომ საკუთარ თავში მოიაზრებს ეროვნულ-კულტურული ფასეულობებისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების მჭიდრო ურთიერთკავშირს.

ფაქტობრივად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული იდეა მოიცავს ეროვნულ ინტერესებსაც. „ქართული იდეა პატრიარქის ქადაგების მიხედვით ასე მოიაზრება: I-ღმერთი, II-სამშობლო, III-ადამიანი. ფაქტიურად, გიყვარდეს ღმერთი, შენი; გიყვარდეს სამშობლო შენი და ემსახურე მას მართლმადიდებლობით და ქრისტეანობით…" (ცხადაია, 2009).

როგორც ციტატიდან ჩანს, ქართულ-ეროვნული იდეის, მაშასადამე ნაციონალურ-ეროვნული ინტერესების გატარება და განხორციელება გულისხმობს სამშობლოს სიყვარულს და ღმერთის სამსახურს, რაც შეუძლებელია მართლმადიდებლობის გარეშე, რადგანაც ისტორიული რაკურსიდან გამომდინარე, ქრისტეანობა წარმოადგენდა ქართული-ეროვნული თვითშეგნების ფუნდამენტს. მართლმადიდებლობა ისე ორგანულად დაუკავშირდა ქართველობას, რომ ეროვნება უშუალოდ მიბმული იყო ქართველურ მრწამსზე.

რა თქმა უნდა, მოცემულ ციტატაში ხაზგასმულია და მესამე კომპონენტად გამოყოფილია ადამიანი, რომელიც ახორციელებს ზემოთქმულ ქმედებას და უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს, რომლის ირგვლივაც ერთიანდებიან, როგორც ქართულ-ეროვნული იდეა ასევე მართლმადიდებლური სარწმუნოება.

ამავე სტატიიდან ჩანს, რომ კითხვაზე თუ რა არის ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენის გზა, პატრიარქმა ილია მეორემ უპასუხა: „ყველაზე მთავარია ქართველი ადამიანის გაეროვნულება ანუ გაქართველება. ე. ი. როდესაც კარგი ქართველი, ეროვნული გახდება ადამიანი, ის იქნება კარგი მართლმადიდებელი, ზნეობრივი, კეთილი, მოყვასისა და მტრის მოყვარულიც.” (ცხადაია, 2009).

ისევ და ისევ აქცენტი კეთდება გაეროვნულებასა და გაქართველებაზე. ანუ საქართველოს გადარჩენის გზაა გაეროვნულება, რაც ხორციელდება მართლმადიდებლური ღირებულებების წიაღში და რაც ავტომატურად გულისხმობს ეროვნული ინტერესების განხორციელებას.

თუ მოვიშველიებთ ზემოთ მოტანილ ციტატას და დავუკავშირებთ ერთმანეთს გამოვა, რომ ხაზგასმულია გაქართველების, გაეროვნულების ფენომენი, რაც უშუალო კავშირშია მარლთმადიდებლობასთან. ყურადსაღებია შემდეგი ციტატა მოცემული სტატიიდან: „საერთოდ სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გეო-პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები”. (ცხადაია, 2009). მოცემული ციტატა პირდაპირაა დაკავშირებული, ჩემს მიერ განსახილველ და საკვლევ თემასთან, ასევე ამყარებს ჩემს მიერ გამოთქმულ ჰიპოთეზასაც, რაც გულისხმობს ეროვნული ინტერესებისა და მართლმადიდებლობის ურთიერთდამოკიდებულებას.

შესაბამისად, საქართველოს განვითარების ერთადერთ პერსპექტივად, პატრიარქი მიიჩნევს, რომ სწორედ ეროვნული ინტერესები განაპირობებენ ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებას, რაც პირდაპირაა დაკავშირებული მართლმადიდებლურ აღმსარებლობასთან, ასევე თუ გავიხსენებთ წინა ციტატებსაც, მათი აზრობრივი ინტეგრაციით, მივალთ დასკვნამდე, რომ საქართველოს განვითარების ერთადერთი გზაა ეროვნულ-კულტურული ფასეულობების დომინაცია, გაქართველება, გაეროვნულება, რაც ავტომატურად გულისხმობს ქრისტეანულ

ფასეულობებს, რაც ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია და მიუთითებს ეროვნული ინტერესების გაძლიერებაზე, მართლმადიდებლური ფასეულობების გაძლიერებისა და განვითარების ფონზე.

ამავე სტატიაში, „მართლმადიდებლური ეთნონაციონალიზმი/ქართული ელექტრონული დისკურსი'' საუბარია ინტეგრალიზმსა და ფუნდამენტალიზმზე. ჩემი აზრით, მეტად რადიკალური ფორმითაა დანახული მართლმადიდებლობა და ხდება მისი მცდარი დაკავშირება ეთნონაციონალიზმთან, რაც გულისხმობს მის დაპირისპირებას არა მხოლოდ სეკულარული საზოგადოების, არამედ მთლიანად საზოგადოების მიმართ.

ჩემი აზრით, ეს ყველაფერი არასწორადაა დანახული და მიზანმიმართულ ინსინუაციას წარმოადგენს, რადგანაც ზემოთ მოყვანილი ციტატების საპირისპიროდ, საერთოდ არ ხდება მართლმადიდებლობისა და მასზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის სწრაფვა ტოტალური კონტროლისაკენ. ის მხოლოდ მიუთითებს ეროვნული იდეისაკენ სწრაფვისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელებისაკენ, რაც მტკიცე კაცშირშია რელიგიურ ფასეულობებთან, რომელთა გარეშეც ქართული იდეის განხორციელება საერთო-ეროვნულ დონეზე ძლიერ საეჭვოა.

ჩემთვის მიუღებელია მსგავსი რადიკალიზმი, რომელიც კვაზიიდეოლოგიურ საფრთხეებზე მიუთითებს, რაც არამართებულია და იწვევს პოლარიზაციას საზოგადოებაში და ნეგატიურ დამოკიდებულებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ.

ამასთანავე ქართული ნაციონალიზმი არ წარმოადგენს, თავის თავში ჩაკეტილ სისტემას, რომელიც დამყარებულია კასმოპოლიტური და სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელი საზოგადოების სიძულვილზე. ამიტომაც, რადგან საქართველოს ეროვნული ინტერესების განხორციელება შეუძლებელია მართლმადიდებლური ღირებულებების გარეშე, რადგანაც ის ისტორიულად დაკავშირებული და გადაჯაჭვულია სახელმწიფოებრიობასთან. შესაბამისად, მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებულ ქართულ ნაციონალიზმზეა დამოკიდებული, ეროვნული ინტერესების განხორციელება ქართულ რეალობაში.

გაიოზ მამალაძის სტატიაც: „აღმსარებლობა და ქართული ნაციონალიზმი/ ერთობის ფორმულა'', რომელიც აღწერს აღმსარებლობას და ქართულ ნაციონალიზმს, ასევე აღნიშნავს, რომ ქართული ცივილიზაციის გადარჩენისა და არსებობის განმაპირობებელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მართლმადიდებლობა და საქართველოს მისია, რაც თავისთავად გულისხმობს ეროვნული ინტერესების გაძლიერებას, წინააღმდეგ შემთხვევაში საუბარიც ზედმეტია ქართულ-ეროვნულ ინტერესებზე.

გარდა ამისა, წინა სტატია: „მართლმადიდებლური ეთნონაციონალიზმი|ქართული ელექტრონული დისკურსი'', მიგვითითებდა მართლმადიდებლური მრწამსის ტოტალიტარულ ხასიათზე და ქრისტეანული ღირებულებების გარეშე განიხილავს ქართული სახელმწიფოს არსებობას, რაც ემსგავსება კვაზისახელმწიფოებრივ და კვაზიეროვნულ ინტერესებს, რაც თითქოს დასავლური ცივილიზაციის მიღწევებზე უნდა იყოს დაფუძნებული, არადა როგორც მოტანილი ეპისტოლეებიდანაც ჩანს, მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმი, სულაც არაა გადატვირთული შოვინისტური და „იმპერიალისტური'' მიზნებით და სულაც არ ეწინააღმდეგება დასავლური ცივილიზაციის მიღწევების გადმოტანას, რაც სასარგებლო იქნება ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის.

წინააღმდეგობა ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება მისწრაფება რადიკალური ვესტერნიზაციისაკენ, რაც ქმნის საფრთხეს ქართული ეროვნული ინტერესების იგნორირებისა, რაც გამოწვეულია დასავლური ცივილიზაციის მასშტაბური დექრისტეანიზაციით, ამიტომ ჩნდება საფრთხე დექრისტეანიზაციისა საქართველოშიც, დასავლური ორიენტაციის და რადიკალური ვესტერნიზაციის სახელით. სამწუხაროდ ჩნდება ტენდენცია, როდესაც რადიკალური ვესტერნიზაციის მომხრეები, საუბრობენ მართლმადიდებლური ნაციონალიზმის ''მტაცებლურ'' და ტოტალიტარულ ხასიათზე, როდესაც თვითონ გვევლინებიან რადიკალური ვესტერნიზაციისა და დექრისტიანიზაციის მომხრეებად.

ჩემ მიერ მოტანილი საკვლევი ჰიპოთეზის გამამყარებელია შემდეგი ციტატაც განსახილველი სტატიიდან: „როგორც ვთქვით, ერის სულიერი მისიის აღსრულების,

ანუ ფუნქციის შესრულების აუცილებელი პირობაა სხეულის (ხალხის) ერთიანობა. ამას ყოველივეს სჭირდება ხელისშემშლელი ფაქტორების, ხელისშემშლელი იდეების (იდეოლოგიის) განადგურება, ანუ კვდომის საშიროების მოსპობა და სიცოცხლის წყაროს, ერთიანობის იდეის (იდეოლოგიის) არსებობა.'' (მამალაძე, 2014).

როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ავტორი საუბრობს ქართული სულიერი მისიის შესრულებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებულ ქართულ ნაციონალიზმთან და ამისათვის აუცილებელ გაერთიანებაზე საუბრობს, რაც ხელისშემშლელი იდეების უკუგდებით მიიღწევა. ხელისშემშლელი იდეა კი პირველ რიგში არის დექრისტეანიზაცია და რადიკალური ვესტერნიზაცია. ხშირად იქმნება ილუზია იმისა, რომ ქართული ნაციონალიზმის განვითარება შესაძლებელია მართლმადიდებლური ფასეულობების გარეშე, რაც ისტორიული წარსულიდან გამომდინარე საფუძვლიან ეჭვს იწვევს.

„ყოველ დროში ქართველი წინაპრების მიერ იქმნებოდა არსებული ვითარების შესაბამისი კონცეფცია, ეროვნული და სახელმწიფოებრივი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველობა ყოველი დროისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კონცეფციას ქმნიდა და იცვლებოდა ამოსავალი ფორმულაც, მაგრამ მხოლოდ ფორმით, შინაარსი კი იგივე რჩებოდა. ქართული ნაციონალიზმი თანდათან ივსებოდა და ადაპტირდებოდა ისტორიული წარსულიდან გამომდინარე. მსგავსი ცვლილება მოხდა ილია ჭავჭავაძის დროს.“ (მამალაძე, 2014).

„მეცხრამეტე საუკუნეში ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მიერ ერთიანობის იდეამ მიიღო შემდეგი ფორმულირება "ენა, მამული, სარწმუნოება", ხოლო სახელმწიფოებრივი კონცეფცია, რეალიზმიდან გამომდინარე, ავტონომიის ფარგლებში ჩაჯდა, თუმცა სრულ დამოუკიდებლობაზე ფიქრი არ შეწყვეტილა და პერსპექტივიდან იგი არ გამორიცხულა: "ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოს". აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილიასეულ სამ პოსტულატს - ენა, მამული, სარწმინოება", დღეისათვის აქტუალურია და აუცილებლად უნდა დაემატოს - ოჯახი, გვარი, ერი.'' (მამალაძე, 2014).

ასევე გვერდს ვერ ავუვლით თათია კეკელიას, ელენე გავაშელიშვილის, კონსტანტინე ლადარიასა და ირინა სულხანიშვილის ნაშრომს: „მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში'', სადაც

საუბარია ქართული ეკლესიის როლზე, ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების გზაზე, რაც გამომადგება, შემდგომში ჩემს მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზის უკეთ ასახსნელად.

ამავე კვლევაშია ხაზგასმული, ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირებაში, ისტორიული წარსულისა და ზოგადად ღირებულებათა სისტემა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მართლმადიდებლობასთან. ასევე ერთი შეხედვით, მართლმადიდებლური მრწამსის ოპონენტებს, ხელჩასაჭიდს აძლევს ის შინაგანი წინააღმდეგობები, რომლებიც გვხვდება ეკლესიაში. შიდა დაპირისპირებათა და განხეთქილებათა არსებობას ადასტურებს შემდეგი ციტატა: „საქართველოს პატრიარქი ამბროსი ხელაია დაუპირისპირდა კომუნისტურ რეჟიმს და ღირსეულად იბრძოდა ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის. თუმცა იგი დაამარცხა ქართულ ეკლესიაშივე წარმოქმნილმა ე.წ. განახლებისა და რეფორმატორების მოძრაობამ. მოძრაობის სულისკვეთების მთავარი ნიშანი იყო თანამშრომლობა კომუნისტურ რეჟიმთან და, შესაბამისად, შეურიგებელ სასულიერო პირთა დევნა.'' (კეკელია, გავაშელიშვილი & ლადარია, 2013).

მაშასადამე, სამივე სტატიაში განხილული იყო მართლმადიდებლობა და ეკლესია სხვადასხვა ასპექტით. პირველ რიგში, აღსანიშნავია პატრიარქის, ილია მეორის შეხედულება, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს განვითარებისათვის უპირველეს ნაბიჯად მიიჩნევს გაქართველებას, ანუ გაეროვნულებას, რომელიც გულისხმობს სიარულს ქრისტეს გზით, რაც ქართული სახელმწიფოს მოწოდება იყო, ისტორიული წარსულიდან გამომდინარე. ასევე „ქართულ ელექტრონულ დისკურსში“ ეკლესია დახასიათებული იყო, როგორც ექსპანსიონისტური ორგანიზმი, რომელიც ცდილობს ახალი იდეოლოგიის დაფუძნებასა და ავტორიტარიზმის დამყარებას, რომელიც ეროვნულობის წინააღმდეგ ილაშქრებს.

ზოგადად ეროვნულობის გადასარჩენად, ნაციონალიზმი უნდა გავწმინდოთ დამღუპველი და არაფრის მომტანი იდეებისაგან და ვიცოდეთ, რა არის ჩვენი ორიენტირები და ფასეულობები, რომლებიც ემყარებიან მართლმადიდებლური ღირებულებებით განმსჭვალულ ქართულ ნაციონალიზმს. ასევე საუბარი იყო აუცილებელ იდეურ გაერთიანებაზე, რაც მნიშვნელოვანია ერთიანი და ეროვნული

სახელმწიფოს პოზიციების გასამყარებლად. განხილული იყო ილიას ნაციონალისტური ტრიადა: მამული, ენა, სარწმუნოება, - რაც აშკარად მიუთითებს იმ ვექტორზე, რომლითაც უნდა ვითარდებოდეს საქართველო.

მიუხედავად შიდა წინააღმდეგობათა არსებობისა, მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაშენებული ნაციონალიზმი რჩება მყარ და ქართული ეროვნულობისა და იდენტობის განუყოფელ ნაწილად, რომლის გარეშეც ვერ ვისაუბრებთ ქართულ სახელმწიფოზე და მით უმეტეს ეროვნული ინტერესების გატარებაზე საქართველოში.

თეორიული ჩარჩო – ნაციონალიზმს, როგორც იდეოლოგიას უამრავი ვარიანტი თუ ვერსია გააჩნია და შეუძლებელია მისი ზედაპირული და სწორხაზოვანი განმარტება. სხვა პოლიტიკური დოქტრინების მსგავსად ნაციონალიზმს არ გააჩნია ფუძემდებლური თეორია, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა ნაციონალიზმის ზუსტი დეფინიციის დადგენა. ეს იდეოლოგია წარმოადგენს, ასე ვთქვათ, დამოუკიდებელი ნაწილებისაგან შემდგარ კონცეფციას, ანუ მასზე მიბმულია სხვადასხვა დოქტრინალური და თეორიული კონცეპტები.

პიონერ თეორეტიკოსთა მიხედვით, ნაციონალიზმის უმთავრესი პრინციპია ეროვნული გრძნობა და მასზე მიბმული ეროვნული ინტერესების განხორციელება. ეს პრინციპები კი განმტკიცებას პოულობს კონკრეტული ეროვნების კუთვნილ თუ, საყოველთაოდ გაზიარებულ ენასა და რელიგიაში.

ასევე ყურადსაღებია მიხეილ წერეთლის განმარტება, ანუ თეორია ნაციონალიზმის შესახებ.

„თუ არსებობს მონადები - არსებობს ნაციონალური მონადაც. ერის მონადობასა ჰქმნის საკუთარი ენა, მუსიკა, ხელოვნება, ხასიათი, ინდივიდუალური და სოციალური თავისებურობა. ერი - სოციოლოგიური სინამდვილეა. მაშასადამე, მიხეილ წერეთლის მიხედვით, ნაციონალიზმი არის მოძღვრების სისტემა, რომელიც უნიკალურ მისწრაფებათა საფუძველზე დგას, რომელიც ერს შეეხება, - მაგალითად, იცავს ერის ინტერესებს სხვა ეროვნულ ორგანიზმთა შემოსევებისაგან ან შინაურ სოციალურ ცხოვრების გაუმჯობესებას ჰქადაგებს.'' (წერეთელი, 1909, „რომელიც დამოწმებულია'' მაცაბერიძესთან, 2015).

ამას გარდა, მიხეილ წერეთლის აზრით, დაჩაგრულ ერთა ისტორია ყველაზე მეტად ამტკიცებს მისი აზროვნების სისწორეს, რადგანაც სწორედ მაშინ ვლინდება ყველაზე მეტად ერის ერთგულება ეროვნულობისადმი. მითუმეტეს, რომ ჩვენი ერიც სწორედ დაჩაგრულ ერთა კატეგორიას მიეკუთვნება, რაშიც ყველაზე მეტად ისტორიული რეტროსპექცია გვარწმუნებს. ასეთი ერებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი განთავისუფლებისათვის სულის ჩამდგმელი ნაციონალიზმი, რაც მათი ეროვნული ინტერესების განხორციელების უპირველესი ასპექტი და ატრიბუტია.

ამასთანავე, თუ დავესესხებით ისევ მიხეილ წერეთელს, - „ნაციონალიზმი არის მისწრაფება ერისა თავის ინდივიდუალობის შენახვისათვის, კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმის სიკვდილისაგან დაცვისათვის, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის რა იდეალი აქვს ამ კონკრეტულ ორგანიზმში ცვლილებათა შეტანის შესახებ.'' (წერეთელი, 1909, „რომელიც დამოწმებულია'' მაცაბერიძესთან, 2015). თუ საღი თვალით შევხედავთ ზემოთ გამოთქმულ აზრს, ვნახავთ, რომ ნაციონალიზმი ერის ინდივიდუაციის უცილობელი ფუნდამენტია, მისი ინდივიდუაცია კი დამოკიდებულია ისტორიულ მეხსიერებაზე და სულიერად განმტკიცებულ ღირებულებებზე, რაც ვლინდება კონკრეტულ ერში, რომელიც მასში საუკუნეების განმავლობაშია შენივთებული.

ეს აზროვნება კი პირდაპირ გამოხატავს ჩემი ჰიპოთეზის არსს, რომ ნაციონალიზმი, ამ შემთხვევაში მართლმადიდებლობით განმტკიცებული ქართული ნაციონალიზმი, უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების გატარებას საქართველოში. ქართული მართლმადიდებლობის ამგვარ მნიშვნელობას ხსნის მისი მჭიდრო კავშირი ნაციონალიზმთან, ერთან, რადგანაც ქრისტეანობა და ქართველობა ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენდნენ. ამიტომაც ვამახვილებ ყურადღებას იმაზე, რომ სწორედ მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმია ყველაზე მეტად დაინტერესებული, ქართული სახელმწიფოსათვის ორგანულად აუცილებელი ეროვნული ინტერესების იმპლემენტაციით.

სწორედ ამიტომაა დაკავშირებული ნაციონალიზმთან მართლმადიდებლობა და ეს განაპირობებს ეროვნული ინტერესების გატარების ინტენსივობის მასზე დამოკიდებულებას. მაშასადამე, მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული

ქართული ნაციონალიზმი, სრულად მოიცავს ქართველობისათვის დამახასიათებელ ფასეულობათა და ღირებულებათა მონადას მონოლითურ ერთიანობაში, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენი სახელწიფოსათვის.

კვლევის მეთოდოლოგია - მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის ადეკვატური გაანალიზებისათვის, საჭიროა თვისებრივი კვლევის გამოყენება. ხოლო რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას, რომელიც ნაშრომის სრულყოფილების ხარისხს ერთიორად გაზრდიდა, ფინანსური შეზღუდვებიდან გამომდინარე ვერ ხერხდება მისი გამოყენება, რაზეც უფრო დეტალურად ვისაუბრებ კვლევის შეზღუდვებში.

თვისებრივი ანალიზის საშუალებით კი, გამოვიკვლევ მართლმადიდებლობის აქტუალურობას თანამედროვე სეკულარულ საზოგადოებაში და საქართველოს ეროვნული ინტერესების მასთან თავსებადობას.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები, რა თქმა უნდა ვერ იქნება პროცენტულ მაჩვენებლებში, ანუ კვლევის შედეგები ვერ განზოგადდება. ესე იგი უნდა მოხდეს მიღებული მონაცემების ტიპოლოგიზაცია, რაც გულისხმობს სოციალურად მნიშვნელოვანი ტიპების გარკვეული კლასიფიკაციის შექმნას. ასევე აუცილებელია მნიშვნელოვანი თემატური ელემენტების, ასე ვთქვათ, საწყისი თეორიული კონსტრუქტების გამოყოფა რესპოდენტთა მონათხრობში. შესაბამისად, კვლევის მონაცემების და შედეგების გამოყენება მოხდება ანგარიშის სახით წარდგენით. სადაც გამოყენებული იქნება ციტატები ჩატარებული ინტერვიუდან, რომელიც განამტკიცებს კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს.

ინტერვიუს ჩატარების დრო და ადგილი რა თქმა უნდა წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული რესპოდენტთან და უნდა ჩატარდეს ისეთ ადგილზე, სადაც მინიმიზირებული იქნება ხელისშემშლელი ფაქტორები. ე.ი შერჩევა უნდა მოხდეს საკვლევი თემის სპეციფიკურობის მიხედვით, ანუ ამ შემთხვევაში რელევანტური იქნება ინტერვიუს ჩატარება სასულიერო პირებთან და თეოლოგებთან. მოხდება თანამედროვე მკვლევართა შერჩევა, რომელთაც აქვთ ნაშრომები ამ თემაზე, კვლევები და მიმდინარე დაკვირვებები, საკვლევ თემასთან დაკავშირებით. მათი შერჩევის შედეგად, მათთან დაკავშირება მოხდება ტელეფონის საშუალებით.

შესაბამისად, თუ მოხდება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის გათვალისწინება, მაშინ სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით, მოპოვებული იქნება დეტალური და რელევანტური ინფორმაცია მართლმადიდებლობისა და ეროვნული ინტერესების იმპლემენტაციის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. რაც საკვლევ თემას შესძენს სრულიად ახალ ინფორმაციას.

რაც შეეხება სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, მოხდება მისი სიღრმისეული ანალიზი (ექსპერტული ინტერვიუ). მიღებული პასუხები უნდა გადაირჩეს და ჩაწერილი ინტერვიუების მიხედვით, მოხდეს მიღებული ინფორმაციის შინაარსობრივი ანალიზი და მისი გამოყენება, მიმდინარე კვლევის შედეგების კანონზომიერებათა დასადგენად და დასაკვირვებლად. აუცილებელია გამოკითხული რესპოდენტების, ამ შემთხვევაში თეოლოგებისა და სასულიერი პირების, პასუხების ურთიერთშედარება, ანალიზი და მათი ძირითადი იდეების ციტირება, რაც სრულიად ახლებური ხედვა იქნება მიმდინარე საკვლევი თემისა, რომელიც დაეყრდნობა მოცემულ საკითხში გამოცდილი და მაღალკვალიფიცირებული რესპოდენტების სიღრმისეულ გამოკითხვას.

ოპერაციონალიზაცია - საკვლევი ჰიპოთეზა, რომელიც მიმდინარე ნაშრომის ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს, შედგება დამოუკიდებული და დამოკიდებელი ცვლადისაგან, რომელთა შემოწმება უნდა მოხდეს სპეციფიკური ინდიკატორების მოძიებით, რომელთა საშუალებითაც ვზომავთ ცვლადებს. ჩემი ჰიპოთეზაა: „რაც უფრო ნაკლებად ვლინდება ქართულ რეალობაში მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის ღირებულებები, მით უფრო ნაკლებად ხდება ეროვნული ინტერესების განხორციელება საქართველოში.“

შეგიძლია გამოვყოთ ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც გავზომავთ მოცემული ჰიპოთეზის ცვლადებს. პირველ რიგში, აღსანიშნავია დამოუკიდებელი ცვლადი: „მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმი.“ ამ ცვლადის გასაზომად აუცილებელია დავადგინოთ:

- მართლმადიდებლობის გავლენა, ეროვნული ფასეულობების ფორმირებაზე;

აუცილებელია დავადგინოთ მართლმადიდებლური ფასეულობების მოქმედება სახელმწიფო დონეზე. ამასთან დაკავშირებით უპირველესად უნდა ვახსენოთ ის, რომ მართლმადიდებლური ნაციონალიზმის და ზოგადად რელიგიის გავლენა დიდია ქართულ კულტურაზეცა და ფასეულობებზეც. მართლმადიდებლობისა და ქართული ნაციონალიზმის როლი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში მნიშვნელოვანია. ამ საკითხში უკეთ გასათვითცნობიერებლად გავიხსენებ ვაჟა ფშაველას ცნობილ პუბლიცისტურ წერილს, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რომელშიც ვაჟა ფშაველა საუბრობს პატრიოტიზმის მნიშვნელობაზე.

- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი სახელმწიფო დონეზე;

მოვლენებზე დაკვირვებით გამოჩნდა ეკლესიისა და მისი წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობა პოლიტიკური სტატუს-კვოს ფორმირებაში. შესაბამისად, საპატრიარქო, როგორც რელიგიური ინსტრუმენტი, მნიშვნელოვანწილად ახდენს გავლენას ქართული ფასეულობების ფორმირებაზე, სხვადასხვა გაერთიანებების დაფუძნებით. (მინესაშვილი, 2017).

- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობა, პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირების პროცესში;

ამ შემთხვევაში საჭიროა დავაკვირდეთ მიმდინარე პოლიტიკურ რეალობას და დავადგინოთ თანამედროვე სეკულარულ საზოგადოებაში მართლმადიდებლობის გავლენა. ასევე უნდა დავაკვირდეთ ეკლესიის გავლენას პოლიტიკურ სტატუს-კვოზე. ამის მაგალითად კი კანაფის ექსპორტის თემა და ეკლესიის მიზნობრივი წინააღმდეგობაა, რამაც დაგვანახა ეკლესიის გავლენის ძლიერება, რაც არ ჩაკარგულა სეკულარული ფსევდოენთუზიაზმით, რაც დექრისტიანიზაციის სახით მოგვევლინა ევროპაში.

რაც შეეხება დამოკიდებულ ცვლადს: ‘‘ეროვნული ინტერესების იმპლემენტაცია.’’ ამ ცვლადის გასაზომად კი აუცილებელია დავადგინოთ:

- ილია ჭავჭავაძისეული ცნობილი ტრიადის, - ‘‘მამული, ენა, სარწმუნოება’’, როლი, ეროვნული ინტერესების ფარგლებში;

ეროვნული ინტერესების გასაზომად უნდა შევისწავლოთ ეროვნული ინტერესების გაუტარებლობაზე, საზოგადოების რეაგირების დონე/ხარისხი დღევანდელ საქართველოში, ძირძველი და ისტორიული ფასეულობების იმპლემენტაციის ხარისხი, რისკენაც მოგვიწოდებდა ილია ჭავჭავაძე, მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკური მოღვაწეობის შესაბამისობის ხარისხი ეროვნულ ინტერესებთან, საზოგადოების სახელმწიფოებრივი ღირებულებების ეროვნულ ინტერესებთან შეთავსებადობის ხარისხი და სხვ. ამ ცვლადების გამოყენება მიზანშეწონილია ეროვნული ინტერესების გასაზომად, რაც პირდაპირ ასახავს მისი გავლენის ხარისხს თანამედროვე ქართულ საზოგადოებაზე, მათ მიერ გაზიარებულ ფასეულობებზე და საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე, ეროვნული ინტერესების შეთანაწყობადობის დონე ევროგაერთიანების დირექტივებთან და ეროვნული ინტერესების იმპლემენტაციის შესაძლებლობის დონე, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე.

თავი I: ერის, ეროვნულობისა და ნაციონალიზმის განმარტებები

ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარებისათვის, რომელიც წარმოადგენს სრულფასოვან სოციალურ გაერთიანებას, საჭიროა იდეოლოგიური შეკავშირება, რაც აერთიანებს მოქალაქეებს, ერთიანი, იდეობრივი დროშის ქვეშ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს იდეოლოგია არ გადაიზარდოს უკიდურეს რადიკალიზმში და მუდმივად კონტროლდებოდეს მისი მოქმედების საზღვრები. ნებისმიერი ეროვნული იდეისა და პირველ რიგში ნაციონალიზმის პრინციპს უნდა წარმოადგენდეს სიყვარული, როგორც საუბრობს ამაზე სამსონ ფირცხალავა ფსევდონიმით „კალამი.“

„ნაციონალიზმი, როგორც სიყვარული! დიაღ და სხვა არავითარი საფუძველი არა აქვს ნაციონალიზმს, ეროვნებას, თუ არა სიყვარული. ე.ი სამსონ ფირცხალავას აზრით, სიყვარული და სიმპათიაა საფუძველი ნაციონალიზმისა და არა სიძულვილი სხვა ერების მიმართ, ეს არის ურთიერთსიყვარული და ურთიერთპატივისცემა საკუთარი ნაციის მიმართ.'' (ფირცხალავა, 1905 ,,რომელიც დამოწმებულია'' მაცაბერიძესთან, 2018).

ამასთანავე, სანამ ეროვნულ ინტერესებზე იქნება საუბარი, მიზანშეწონილი იქნება იმის ზოგადი განხილვა, თუ რა არის ერი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ფენომენი. პირველ რიგში, აუცილებელია კავშირის დანახვა ერსა და სახელმწიფოს შორის. არჩილ ჯორჯაძის მიხედვით, სახელმწიფომ შვა ერი და ის ცდილობს, რომ გათიშულ სახელმწიფოს დაუკავშირდეს ან შექმნას მსგავსი ერთობა, თავის შეფარების მიზნით. (ჯორჯაძე, 1911 ,,რომელიც დამოწმებულია'' მაცაბერიძესთან, 2018). მარქსელების მიხედვით ყოველივე დაკავშირებულია კლასთა ბრძოლასთან, რომლის მიზანიცაა პროლეტარიატის უფლებების აღდგენა და მათი ღირსეული არსებობის გარანტირება. ასევე მათი ნააზრევის მიხედვით, ერი არის ისტორიული ფენომენი. მაგალითად, იოსებ სტალინმა ერის განმარტება ასე ჩამოაყალიბა: „ერი, როგორც ისტორიული ერთობა, რომელიც ეფუძნება ოთხ ძირითად ელემენტს: ენას, ტერიტორიას, ეკონომიკურ ერთობასა და კულტურულ საფუძველს.“ (სტალინი, 1913 ,,რომელიც დამოწმებულია'' მაცაბერიძესთან, 2018).

ამას გარდა საინტერესოა შპრინგერისა და ბაუერის განსაზღვრებები ერის შესახებ. შპრინგერის მიხედვით: ერი მსგავსად მოაზროვნე და მსგავსად მოსაუბრე ადამიანთა ერთობაა. ეს არის თანამედროვე ადამიანთა კულტურული ერთობა, რომელიც მიწას არ უკავშირდება. (სტალინი, 1913 ,,რომელიც დამოწმებულია" მაცაბერიძესთან, 2018). ხოლო ბაუერის მიხედვით: ერი არის ადამიანთა მონოლითური გაერთიანება, რომელშიც ინდივიდები ერთმანეთს უკავშირდებიან ბედისა და ხასიათის ერთობით. (სტალინი, 1913 ,,რომელიც დამოწმებულია" მაცაბერიძესთან, 2018).

როგორც ვნახეთ, ერის ცნების ზუსტი და ერთიანი განმარტება არ არსებობს, სხვადასხვა მოაზროვნე თუ მეცნიერი მას სხვადასხვაგვარად აფასებს. ამიტომაც შეგვიძლია ზოგადად შევჯერდეთ იმაზე, რომ ერი არის სახელმწიფოს ფორმირების განუყოფელი ნაწილი და ერის ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ერთიანობა. ასევე მნიშვნელოვანია კულტურული ერთობაც, რაც საბოლოოდ თავს იყრის სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებსა და ფასეულობებში, ანუ სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები თუ ფასეულობები ემყარება ერს, როგორც საზოგადოების ისტორიულ გაერთიანებას.

გარდა ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, ნებისმიერი იდეობრივი გაერთიანება ემყარება რეალობაში გატარებულ პრაქტიკას. სწორედ პრაქტიკაში განხორციელებული იდეობრივი საწყისია სიცოცხლისუნარიანი და ისტორიული არსების მქონე. იმისათვის, რომ ერის იდეოლოგია არ იქცეს ფანატიზმად, ფუნდამენტალიზმად და რადიკალიზმად, ამისათვის აუცილებელია, რომ საზოგადოება იყოს პოლიტიკურად განათლებული და გათვითცნობიერებული. ნებისმიერი იდეური საწყისი შეიძლება გადაიზარდოს რადიკალიზმში. ამ ყველაფრის თავიდან აცილების ერთადერთი გარანტია, საზოგადოების სიბრძნე და პოლიტიკურ პროცესებში ჩახედულებაა.

შეიძლება წავაწყდეთ გარკვეულ ხალხთა ჯგუფს, რომლებიც ისწრაფვიან მონდიალიზმისა და გლობალიზაციისაკენ, რაც გულისხმობს მრავალფეროვან ერთა გაერთფეროვნებას, რასაც უწოდებენ კოსმოპოლიტიზმს.

ამის საწინააღმდეგოდ, აღსანიშნავია მიხეილ წერეთლის კრიტიკა, რომლის მიხედვითაც: კოსმოპოლიტიზმი არის უტოპია, განუხორციელებელია, რადგანაც სიცოცხლე წარმოადგენს მრავალფეროვანებას, მუდმივ ცვალებადობას, სხვადასხვა

ორგანული და სოციალური ერთობის შექმნა, შემდეგ მათი დიფერენციაცია, ინტეგრაცია, მაგრამ ინტეგრაციას თავისი საზღვარი აქვს და არ ემუქრება მრავალფეროვანებას. პირიქით, შემდეგ ისევ იწყება პროცესი დიფერენციაციისა ახალ მრავალფეროვნებათა წარმოსაქმნელად და ასე დაუსრულებლად მეორდება მსგავსი პროცესი. (წერეთელი, 1909 ,,რომელიც დამოწმებულია" მაცაბერიძესთან, 2015).

ასე, რომ მე, სრულად ვიზიარებ მიხეილ წერეთლის ნააზრევს და ვეთანხმები კოსმოპოლიტიზმის განხორციელების უტოპიურობას. ჩემი აზრით, ეროვნული მრავალფეროვნება და არა პირიქით, მისი ჩახშობა უზრუნველყოფს გლობალური კონკურენციის არსებობასა და სწრაფი განვითარების შესაძლებლობას. მონდიალიზმი კი სრულიად ახშობს კონკურენციასა და სწრაფი განვითარების შესაძლებლობას.

ასევე ზოგს მიაჩნია, რომ ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია, რასაც უარყოფს ისევ მიხეილ წერეთელი. მისი დაკვირვებით, ნაციონალიზმი არათუ არ ეწინააღმდეგება ინტერნაციონალიზმს, პირიქით, პირველი მეორეს შემადგენელი ნაწილია. (წერეთელი, 1909 ,,რომელიც დამოწმებულია" მაცაბერიძესთან, 2015).

გარდა ამისა, უცნაურია იმ ხალხთა მოსაზრება, რომლებიც ილაშქრებენ იდეოლოგიის წინააღმდეგ და გამოდიან ანტიიდეოლოგთა რანგში, რადგანაც თვით ანტიიდეოლოგობაც კი ახალი იდეოლოგიაა. „პირველი იყო სიტყვა!" – უძველესი და მარადიული ჭეშმარიტებაა და ამდენად, ანტიიდეოლოგიის მიმდევრებს აქედანვე გზა მოჭრილი აქვთ – თვითონ იდეოლოგიის წინააღმდეგ მათი გალაშქრებაც ხომ გარკვეული იდეოლოგიაა?!... (ილია და „საერთო ნიადაგის" თეორია, 2014).

მაშასადამე, გარკვეული იდეოლოგიის არსებობა აუცილებელია ქაოტურობის თავიდან ასაცილებლად და ეროვნული პლატფორმის შესაქმნელად, რაც ძლიერი სახელმწიფოს საწინდარი გახდება, რა თქმა უნდა, საზოგადოების პოლიტიკური განსწავლულობის პირობებში.

ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელსაც სუვერენულობაზე აქვს პრეტენზია და არ უნდა იყოს სხვაზე დამოკიდებული სოციალური ორგანიზაცია, მაშინ მას უნდა ჰქონდეს აუცილებელი ეროვნული საყრდენი და იდეოლოგია, რაც არ გულისხმობს რადიკალიზმსა თუ იდეურ ექსტრემიზმს. ეროვნული ინტერესების გატარება

გულისხმობს მყარი ფასეულობების ქონასა და ერისათვის მნიშვნელოვანი, სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ეროვნების, ნაციონალიზმისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ძირეული ფაქტორია და მის გარეშე, მხატვრულად, რომ ვთქვათ, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური სტატუს-კვო, უმოძრაო და მდორე გუბეს დაემსგავსება, სადაც ვერც მრავალფეროვნება, ვერც კონკურენცია და ეროვნული ინტერესები ვერ „გაიხარებს".

ამიტომ პოლიტიკა შეიძლება შევადაროთ დიდ საჭადრაკო დაფას, სადაც თითოეული სვლა დიდი დაფიქრებით უნდა განვახორციელოთ და ზუსტად ამ სვლების სისწორე განაპირობებს მიზანთან დაახლოების ხარისხს, ანუ ეროვნული ინტერესების განხორციელება, იმ მამოძრავებელ სვლებად მიმაჩნია, რაც აახლოვებს ამა თუ იმ ერსა თუ სახელმწიფოს დასახულ მიზანთან.

ასე, რომ ნებისმიერი სახელმწიფოსა და სოციუმის განვითარებას ესაჭიროება გარკვეული საყრდენი. შესაბამისად აუცილებელია საზოგადოებამ, ან განათლებულმა ელიტამ, ორიენტირად აიღოს გარკვეული იდეოლოგიური საწყისები, რაზეც დააფუძნებს ერის თვითმყოფადობასა და უნიკალურობას. ამის მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის თეორია."

„ერთი სიტყვით, თუ მართლაც ქართულ სახელმწიფოს ვესწრაფვით და არა რაღაც გაურკვეველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, უნდა მთელი სერიოზულობით ვიფიქროთ მისთვის მკვიდრი იდეოლოგიური საფუძვლების მომზადება. როგორც ილია წერს, – „ახალი საქართველო მხოლოდ ძველიდგან უნდა აღმოვშობოთ მკვიდრად". (ილია და „საერთო ნიადაგის" თეორია, 2014). ამ ციტატიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთავარია გავითავისოთ ჩვენი ისტორიული მეხსიერება, რაც აერთიანებს საზოგადეობას, ხალხს და მას აყალიბებს ნაციონალურ ერთიანობად, საერთო ისტორიითა და აწმყოთი, რომელიც დაკავშირებულია საერთო მომავალთან.

ამასთანავე, სრულიად მივესალმები ილიასეულ ''სამსახა'' მსოფლმხედველობას, რაც ვლინდება კონსერვატიზმის, ლიბერალიზმისა და ევროპული სოციალ-დემოკრატიის ღირებულებების გაზიარებაში და არა იმ დამახინჯებული სახის მქონე ფსევდოლიბერალიზმში, რაც დღესაა გაბატონებული საერთაშორისო არენაზე. პოლიტიკური სიბრძნე სწორედ იმაში ვლინდება, თუ როგორ აფასებ ამა თუ იმ

იდეოლოგიის ღირსებებსა თუ ნაკლოვანებებს და როგორ ახერხებ მის პრაქტიკაში რეალიზებას. ეს ყოველივე დიდ პოლიტიკურ თუ ფილოსოფიურ განსწავლულობას მოითხოვს და რაც უფრო ერკვევა მსგავს საკითხებში პოლიტიკოსი, მით უფრო მეტია შანსი, ქვეყნის სწორი გზით განვითარებისა და დასახული საწადელის აღსრულებისა.

„პოლიტიკური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, ილია თავისებურად „სამსახოვანი პიროვნებაა"; მომავალი ქართული სახელმწიფოს მისეული სტრატეგიული ხედვა და გააზრება 3 პოლიტიკურ იდეოლოგიას ეფუძნება – კონსერვატიზმს, ლიბერალიზმს და ევროპულ სოციალ–დემოკრატიას: სახელმწიფო წყობის მიმართებით იგი კონსერვატორი, კონსტიტუციური მონარქიის პრინციპებზე სახელმწიფო მოწყობის მომხრეა, ადამიანის უფლებების მიმართებით თანამედროვე ლიბერალიზმის, ხოლო ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების მიმართებით ევროპული სოციალ–დემოკრატიული ღირებულებების მომხრე და მიმდევარია.'' (ილია და „საერთო ნიადაგის" თეორია, 2014).

ასე, რომ ერის გაუბედურების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია არ დავივიწყოთ ისტორია, რაც განაპირობებს კიდეც კონკრეტული ერის ფასეულობებსა და ეროვნულ თვითშეგნებას. თუ მოხერხდება ამ ყველაფრის გათვითცნობიერებული შეკავშირება, ის ხელს შეუწყობს ამა თუ იმ სახელმწიფოს, რომ იარსებოს ღირსეულად, დამოუკიდებლად, შეინარჩუნოს საკუთარი დამოუკიდებლობა და განუმეორებლობა, რაზეც საუბრობს გამოცდილი და ნიჭიერი მეცნიერი, მიხეილ წერეთელი.

რთულია არ აღფრთოვანდე იმ პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეებით, რომლებმაც მოახერხეს ყველა სიძნელის გათვალისწინება და ძლიერი ფასეულობების მქონე სოციუმის ფორმირება, რაც ხდება ერის სიძლიერის უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედი.

მაშასადამე, ისევ არ მოძველებულა ილიასეული ფორმულირება „ქართული გული და ევროპული ტანსაცმელი.'' ქართული გული კი, როგორც ვხვდებით, წარმოადგენს ეროვნული უნიკალურობის განმსაზღვრელი სულიერი ფასეულობების პირველწყაროს. თუ დავივიწყებთ ისტორიასა და საზოგადოებაში ფორმირებული, ეროვნული შეხედულებების იგნორირებას მოვახდენთ, შედეგად მივიღებთ ქაოტურ მეინსტრიმულ მასას, რომელთა მოსყიდვაც ხდება ''პურითა და სანახაობით'', რომელიც

ვერ ერკვევა მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციებში და ხდება ფსევდოიდეოლოგიების მსხვერპლი.

ილია ჭავჭავაძისთვის, ისევე როგორც აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვა თერგდალეულობისთვის, ლიბერალობა იყო ღრმად შეფასებული და გააზრებული ეროვნული პოზიცია, განსხვავებით მათი მოწინააღმდეგეებისაგან, რომელთაც საერთოდ არ ესმოდათ ამ სიტყვის რეალური არსი. (ბუაძე, 2017).

საბოლოოდ, შეგვიძლია დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, რომ აუცილებელია საზოგადოებას გააჩნდეს, ერთიანი ეროვნული ყალიბი, რაც უზრუნველყოფს ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას ერის უნიკალურობის საფუძველზე და გლობალურ არენაზე არა მონდიალისტური, არამედ ინტერნაციონალური ურთიერთკავშირის უზრუნველყოფას, რომელიც სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ნაციონალიზმსა და ეროვნული მრავალფეროვნებისა თუ უნიკალურობის შენარჩუნებას.

თავი II: ეროვნული (ნაციონალური) ინტერესები საქართველოში

ეროვნება და ეროვნულობა, რაც სპეციფიკური სოციალური გაერთიანების და მათ მიერ ჩამოყალიბებული სახლემწიფოს უმთავრესი მახასიათებელი ნიშანებია, რთული ფენომენია და მისი შესწავლა უნდა მოხდეს მეცნიერული მიდგომის საფუძველზე, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის შენარჩუნებით. ნებისმიერი სახელმწიფოს საფუძველია საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელსაც გააჩნია საკუთარი ეროვნული იდენტობა და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული ინტერესები, რაც განაპირობებს მის ღირებულებებსა და ფასეულობებს. შესაბამისად, ნებისმიერ ერს გააჩნია საკუთარი, მკვეთრად ჩამოყალიბებული სულიერი და ეროვნული მისია, რისი მიღწევისაკენაც ის ისწრაფვის და რაშიაც ვლინდება მისი ეროვნული ინტერესები.

გამონაკლისი არც საქართველოა და მასაც გააჩნია საკუთარი ეროვნული ინტერესები, რომელთა განხორციელებასაც, ის ეროვნული ფასეულობების ჩამოყალიბების შემდეგ ცდილობს და ამ მხვრივ, გარდამტეხი იყო მირიან მეფისა და დედოფალ ნანას გაქრისტიანება. ამას შედეგად მოჰყვა ქართული ეროვნული და ფასეულობითი ორიენტირების ფორმირება. საინეტრესოა რას ფიქრობენ ამაზე გამოჩენილი მოაზროვნეები და რას საზღვრავენ ისინი, საქართველოს ეროვნულ ინტერესებად.

არჩილ ჯორჯაძის აზრით: „ეროვნება და ეროვნული შემეცნება შექმნა ქართულმა სახელმწიფომ. მისი აზრით ქართული, ეროვნული თვითშემეცნება უშუალოდაა დაკავშირებული ქართულ სახელმწიფოებრიობასთან. ქართულმა სახელმწიფომ შექმნა ქართული ეროვნება და ეროვნული თვითშემეცნება. ეს შემეცნება ძლიერი იყო ქართული სახელმწიფოს ძლიერების ხანაში, ხოლო სუსტი ამ სახელმწიფოს დასუსტების დროს.'' (ვერულავა, 2010).

ასევე, არილ ჯორჯაძეს მიაჩნია, რომ ქართული ეროვნული ინტერესები გულისხმობენ, ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, რასაც განაპირობებს განვითარებული, ნაციონალური მეორნეობა და ეროვნული ვაჭრობა/მრეწველობა.

„ჩვენი ნაციონალური მეურნეობის და ვაჭრობა-მრეწველობის გაუქმებას ადვილად მოჰყვება ჩვენი ეროვნული კულტურის გაუქმებაც. ამისათვის არ არის შეწყნარებული ის აზრი, ვითომ კავკასიაში ეროვნულ ბრძოლას არ აქვს ადგილი და ვითომ კავკასიაში ერთა შორის ბრძოლა მხოლოდ ეკონომიური ბრძოლაა.'' (ვერულავა, 2010).

ამასთანავე, ადრეულ ეპოქაში, რელიგიური მრწამსი მოიცავდა ეროვნულობასაც. ამას უსვამს ხაზს, ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები: „რომელსა გინდა ქართველსა კითხო, გინდა კახსა, გინდა იმერსა და გინდა სხვასა, რა რჯული ხარ, რჯული სარწმუნოებასაც ნიშნავს და ეროვნებასაც, უმალ მოგიგებს – ქართველი. ამ ზემოთ დასახელებულთაგან, რომელსაც გინდა ჰკითხო, რომელია ენა შენი, უმალ მოგიგებს– ქართული.“ (გოგიაშვილი, 2008). მაშასადამე, ეროვნება და ეროვნული ინტერესები, რელიგიური მრწამსით განისაზღვრებოდა ადრეულ ხანაში.

ქრისტეანობა და მისი შენაჩუნება კი იყო მთავარი მიზანი ქართული ეროვნულობისა, ანუ რადგანაც ეროვნება იყო გაიგივებული რელიგიასთან და არა მარტო გაიგივებული, არამედ რელიგია მოიცავდა კიდეც ეროვნულობას. შესაბამისად, ქრისტეანობის შენარჩუნება და მისი ფასეულობითი ორიენტირების განხორციელება იყო ქართული, ეროვნული ინჯტერესები, რასაც ვახუშტი ბატონიშვილის ციტატაც ამტკიცებს. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, ნათლად ვხედავთ, რომ ის ერის სულიერ მისიაზე საუბრისას, ხაზს უსვამს საქართველოს რელიგიურ გზასა და ეროვნულ თვითშემეცნებას.

„ზვიად გამსახურდია, ქართველი ერს ასწავლის: „- დღევანდელი (საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი) მოძრაობაც თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით;“ და შემდეგ: „- სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს.'' (გუგუშვილი, 2011).

ძალიან საინტერესოა ზვიად გამსახურდიას ერთგვარი ანდერძი, საქართველოსთან დაკავშირებით, რომლიდანაც ჩანს მისეული ხედვა იმის შესახებ, თუ

რაა საქართველოს ეროვნული ინტერესი, სულიერი მისია. „სანამ ჭეშმარიტი რელიგია არ აღდგება ჩვენში, ჩვენ ერს გადარჩენა არ უწერია.” დღეს კი ქართველ ერში ჭეშმარიტი რელიგიის ნაცლად ეკუმენიზმის მწვალებლობისა და სხვა მრავალგვარი მწვალებლობების სენი მძვინვარებს. ზვიად გამსახურდიას მოწოდების შესაბამისად საჭიროა ახალი რუის-ურბნისი!.’’ (გუგუშვილი, 2011).

ასე, რომ მნიშვნელოვანია ილიასეული, ქართული ნაციონალიზმისა და ეროვნული ინტერესების ხსენება, რაც ლაკონიურად ვლინდება ტრიადაში: „მამული, ენა, სარწმუნოება.’’ სწორედ ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების დროს მიეცა უკვე კონკრეტული, იდეოლოგიური ხასიათი ქართულ ნაციონალიზმს, ანუ მოხდა მისი იდეურ-დოქტრინალური ჩამოყალიბება.

„ქართული ნაციონალური იდეოლოგიის ფუძემდებელი მოდერნის ეპოქაში, შესაძლოა, ილია ჭავჭავაძეა. მისი ტრიადა „მამული, ენა, სარწმუნოება” ქართული ნაციონალიზმის ფორმულად იქცა, ხოლო თავად მოღვაწე – ამ ტრიადის განსხეულებად: ეროვნული მოძრაობა მამულიშვილობასთან იყო გაიგივებული; ენის რეფორმა ილიას უკავშირდებოდა, მესამე კომპონენტი სარწმუნოება კი ილიასთან პატრიარქმა ილია მეორემ 1987 წელს დააკავშირა. საქართველოს საპატრიარქომ ილია ჭავჭავაძე წმინდა ილია მართლად შერაცხა.’’ (ქართული ნაციონალიზმი, 2010).

თავი III: მართლმადიდებლობის როლი ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში

ზოგადად ნაციონალიზმი არის მონოლითური სისტემა, რომელიც მოიცავს თავის თავში წარსულს, აწმოყოსა და მომავლის პერსპექტივასაც. ნაციონალიზმი არის ერის თვითმყოფადობის საფუძველი და განსაზღვრავს მის ინდივიდუალიზმს, ეროვნულობასა და მშობლიურ-პატრიოტული თვითმყოფადობის განმსაზღვრელ ეროვნულ ინტერესებს. ეს ინტერესები ნებისმიერი სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფენ, სანამ სუვერენულობაზე აქვთ პრეტენზია.

ზოგჯერ ნაციონალიზმი განიხილება, როგორც პატრიოტული სენტიმენტალიზმი და რომანტიზმი, რომელიც თითქოსდა სხვა ერების სიძულვილსა და საკუთარი წარმომავლობის მესიანურ გამორჩეულობას უკავშირდება. ერთ-ერთი განმარტებით, რომელიც შეეხება ნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის შედარებას, ნათქვამია, რომ: „ნაციონალიზმი, რომელიც გულისხმობს საკუთარი ქვეყნის გადაჭარბებულ სიყვარულს, ერის გაიდიალებასა და სამშობლოს მიწა წყალის გაღმერთებას.” (ნაციონალიზმი-იდეოლოგია თუ პატრიოტული სენტიმენტალობა?, 2012).

ასეთი განმარტების გამო, ნაციონალიზმი პატრიოტიზმთან ასოცირდება, მას ხშირად პატრიოტულ სენტიმენტალიზმად აღიქვავენ. ამის პირველწყარო ნაციონალიზმის არსშია. მისი ძირითადი რწმენა ერის არსებობას ეფუძნება. პატრიოტიზმის მთავარი დეტერმინანტი კი, მისი არსიც ერის დეფინიციით, მისი კულტურული და ისტორიული ღირებულებებით იწყება. (ნაციონალიზმი-იდეოლოგია თუ პატრიოტული სენტიმენტალობა?, 2012).

მართალია არსებობს საშიშროება უკიდურესი ნაციონალიზმისა, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს მიზეზი, ნაციონალიზმის სრული უარყოფისა, არამედ ერისა და საზოგადოების მუდმივი გათვითცნობიერებისა, რათა სიბრძნის მოყვარეობით მოხდეს სახელმწიფოს განვითარება და მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს თვითმყოფადობის ფუნდამენტურ გაძლიერებასაც და უკიდურესი ფორმებისაგან თავის დაცვასა თუ

არიდებასაც. სწორედ ამას უკავშირდება ნაციონალიზმის განსაკუთრებული სახესხვაობა, მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმი. ის მოიაზრებს ნაციონალიზმის ისეთ ფორმას, რომელიც მკვეთრადაა გადაჯაჭვული მართლმადიდებლობასთან, რაც ვლინდება იმაში, რომ საქართველო საუკუნეების განმავლობაში იდგა მართლმადიდებლობის გზაზე და დღემდე ინარჩუნებს ქრისტეანულ (მართლმადიდებლურ) ფასეულობებს. მიუხედავად უამრავი სიძნელეებისა, ადრეც და ახლაც, ქართველობა განსაკუთრებულადაა დაკავშირებული მართლმადიდებლობასთან. ამასთანავე, ეს ყოველივე არ ნიშნავს სხვა რელიგიის წარმომადგენელთა უარყოფას თუ მათ მიმართ ნეგატიური ელფერის მქონე დამოკიდებულებას.

აუცილებელია დავადგინოთ მართლმადიდებლური ფასეულობების მოქმედება სახელმწიფო დონეზე. ამასთან დაკავშირებით უპირველესად უნდა ვახსენოთ ის, რომ მართლმადიდებლური ნაციონალიზმის და ზოგადად რელიგიის გავლენა დიდია ქართულ კულტურაზეცა და ფასეულობებზეც. შემიძლია მოვიყვანო სალომე მინესაშვილის ნაშრომიდან ციტატა, რომელიც ამ საკითხს უკავშირდება.

„ეკლესია და მისი წარმომადგენლები პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირში არიან ისეთ საზოგადოებრივ ჯგუფებთან, რომელთა დღის წესრიგს უპირატესად რელიგიური ან ტრადიციული ღირებულებების დაცვა წარმოადგენს. აქედან რამდენიმე ჯგუფი თვითონ საპატრიარქოს ან ეკლესიის წარმომადგენლების მიერაა დაფუძნებული.“ (მინესაშვილი, 2017).

საბოლოო ჯამში, მართლმადიდებლობისა და ქართული ნაციონალიზმის როლი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში მნიშვნელოვანია. ამ საკითხში უკეთ გასათვითცნობიერებლად გავიხსენებ ვაჟა ფშაველას ცნობილ პუბლიცისტურ წერილს, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რომელშიც ვაჟა ფშაველა საუბრობს პატრიოტიზმის მნიშვნელობაზე. ეს ყოველივე ვლინდება იმაში, რომ პატრიოტიზმი უპირველესად, ზოგადსაკაცობრიო კეთილდღეობის მოპოვების ინსტრუმენტია. კოსმოპოლიტიზმის ერთადერთი მისაღები ფორმა არის ის, რომელზეც ვაჟა ფშაველა საუბრობს თავის წერილში. ეს გულისხმობს იმას, რომ: „კოსმოპოლიტიზმი და

პატრიოტიზმი არათუ არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არამედ პირიქით, თითოეული ერი ცდილობს იყოს პატრიოტი, შეინარჩუნოს ნაციონალური და ეროვნული ინტერესები, იყოს თავდადებული თავისი სამშობლოსათვის, რაც ვლინდება იმაში, რომ საკუთარი ქვეყნის აღმშენებლობით, ისინი ხელს უწყობენ მთელი კაცობრიობის განვითარებას.“ (ფშაველა, 1905).

„ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი.“ (ფშაველა, 1905).

3.1 საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა ეროვნული ფასეულობების ფორმირებაზე

ჩემი აზრით და სხვა გამოჩენილ მოაზროვნეთა გაანალიზების შედეგად, შემიძლია დავასკვნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის ეროვნული ფასეულობების განმაპირობებელი ინსტიტუტი, რადგანაც ჩვენი ფასეულობების განხორციელება, პირდაპირ უკავშირდებოდა მართლმადიდებლური ინტერესების განხორციელებას. ამაზე მეტყველებს ჩვენი მეფეების ხმალზე დატანილი წარწერა: „მესიის მახვილი", რაც უკვე მეტყველებს ქართული ეროვნული ინტერესების მიმართულებაზე. მაგრამ ეს შეიძლება ზოგჯერ გადაიზარდოს იმაში, რომ ეკლესიის მესვეურებმა შეიძლება მოინდომონ ისეთი ბერკეტების ფლობა, რაც აჭარბებს მათ მოვალეობასა და უფლებამოსილებას, რაც რა თქმა უნდა, არასწორია. ამ საკითხზე შემიძლია გამოვიყენო ციტატა სალომე მინესაშვილის ნაშრომიდან:

„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არამხოლოდ ფლობს გავლენის ბერკეტებს, არამედ, ამავე დროს სურვილი აქვს ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესში ჩაერიოს, კონკრეტულ ცვლილებს ან მხარი დაუჭიროს ან შეეწინააღმდეგოს. მას არამხოლოდ ტრადიციული რელიგიური ინსტიტუტის როლი აქვს, არამედ საზოგადოებაში ღირებულებებისა და პრინციპების განმსაზღვრელია და, ამავე დროს, სახელმწიფო კანონმდებლობასა და პოლიტიკაზეც არაერთხელ მოუხდენია გავლენა." (მინესაშვილი, 2017).

ამას გარდა საინტერესოა ჩემი რესპოდენტების აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უწყობს ხელს მართლმადიდებლობა და ქართული ნაციონალიზმი და კერძოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეროვნული ინტერესების განხორციელებას. პირველ რიგში, აღსანიშნავია დეკანოზ ალექსანდრე გიორგაძის აზრი, როდესაც ის ამბობს, რომ აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს ეკლესიისა და სახელმწიფოს მოქმედება ერთმანეთისაგან. როგორც ინსტიტუცია ის უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას, რაც გულისხმობს საკუთარი მრევლის სულიერ აღზრდასა და სიკეთისაკენ მიმართვას. დეკანოზი ალექსანდრე ასევე თვლის, რომ უნდა იყოს დაცული ზღვარი ამ

ორ ინსტიტუციას შორის იმით, რომ სახელმწიფო ინსტიტუტი არ უნდა იმართებოდეს ეკლესიის ბრმა კარნახით.

ეკლესია არის რელიგიური ინსტიტუცია და ის უნდა იყოს აპოლიტიკური, ინტერნაციონალური, რაც გულისხმობს იმას, რომ თავიდან ავიცილოთ ეთნოფილეტიზმის მწვალებლობა, რაც კონკრეტულ ერს გარკვეულ უპირატესობებს ანიჭებს რელიგიურ საქმეში. *[ექსპერტული ინტერვიუ: დეკანოზი, ალექსანდრე გიორგაძე].* ეთნოფილეტიზმის ერესი მკაცრადაა დაგმობილი და ის არ უკავშირდება ეკლესიას.

დეკანოზ ალექსანდრე გიორგაძის აზრით, ეკლესიის მოქმედება ხშირად მისი ფავორიტი პოლიტიკური პარტიის გამარჯვებით შემოისაზღვრება, რაც მცდარია და იწვევს პოლარიზაციას საზოგადოებაში. პოლიტიკოსებიც სათავისოდ იყენებენ ეკლესიას და ცდილობენ მისი დახმარებით კეთილგანწყობა მოიპოვონ საზოგადოებაში. მისი აზრით მთავარი პრობლემა იმაშია, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიებიდან მოყოლებული და თეოკრატიული მმართველობის პირობებში, მართლმადიდებლობა იდეოლოგიად იქცა, რაც თავისთავად ქრისტიანობიდან გადახვევა იყო. ეს იმპერიალისტური ინერცია დღესაც შემორჩა, თუმცა განწირულია და ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება. აქედან გამომდინარეობს ის, რომ თუ ეკლესია იდეოლოგიურად ახდენს ზეგავლენას საზოგადოებაზე და არ არის ორიენტირებული იმისკენ, რომ მიმართონ ეროვნული ენერგია სიკეთისკენ და ქრისტესკენ, ეს არის გზას აცდენა.

ამაზე მიუთითებს ჩემი შემდეგი რესპოდენტი, ისტორიკოსი დეკანოზი ილია ჭიღლაძე, რომელიც ამბობს, რომ: აშკარაა თანამშრომლობის აუცილებლობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, მაგრამ რა თქმა უნდა, ისინი გამიჯნულნი უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან. *[ექსპერტული ინტერვიუ: ისტორიკოსი (დეკანოზი), ილია ჭიღლაძე].* ჩემი აზრით, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ყველა რესპოდენტი ერთსულოვანია იმაში, რომ აუცილებელია სახელმწიფო და რელიგიურ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა და მათ შორის ურთიერთობა ისე, რომ ისინი არ გადაიჭრან ერთმანეთის საქმიანობაში და პოლარიზაციისა თუ საზოგადოებრივი დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად,

თითოეულმა ინსტიტუტმა საკუთარი მოვალეობა აღასრულოს პირნათლად და თან ისე, რომ ეს ყველაფერი დაცლილი იყოს ყოველგვარი პოლიტიკური ფავორიტიზმისგან, ფანატიზმისგან, მიკერძოებისა და ეკლესიის ძალმოსილების გადაჭარბებისგან.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ეს ყველაფერი, აუცილებელია გადაიხედოს ჩვენი ეროვნული ინტერესები, არ მოხდეს ეკლესიის იდეოლოგიურ ინსტიტუციამდე ჩამოქვეითება და არ მოხდეს ეროვნული პრივილეგიების მინიჭება საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილზე. არ უნდა მოხდეს ეკლესიის გაპოლიტიკურება, რაც დიდ ზარალს მიაყენებს ქართულ სახელმწიფოს. რაც შეეხება პოლიტოლოგ გიორგი სახელაშვილს, ისიც გარკვეულწილად ამაზე საუბრობს და ამბობს, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებობს კონსტიტუციური და კონკორდატული შეთანხმება, რაც ორივე მხარემ უნდა დაიცვას. ასევე, გიორგი სახელაშვილის აზრით, მართლმადიდებლობა პირდაპირ კავშირშია ეროვნულ ინტერესების საფუძველმდებარე ღირებულებებთან, თავისუფლებასთან, თანსწორობასთან, სამართლიანობასთან და ა.შ.

„კონსტიტუციას, რომელიც საფუძველმდებარე დოკუმენტია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა, სადაც საუბარია სწორედ ეროვნულ ინტერესებზე, და ბიბლიას, საერთო ღირებულებები უდევს საფუძვლად, განსხვავება არის მხოლოდ ამ ღირებულებების ინტერპრეტაციაში, რომელიც იმის მიხედვით იცვლება თუ ვინ მოვა სახელმწიფოს სათავეში, რა იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგომი ძალა, ლიბერალური, სოციალისტური თუ კონსერვატიული.“ *[ექსპერტული ინტერვიუ: პოლიტოლოგი, გიორგი სახელაშვილი].*

ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებით გიორგი სახელაშვილი ამბობს, რომ ეროვნული ინტერესები ცალკეულ ადამიანებამდე დადის, ცალკეული ადამიანების პიროვნული ძლიერება და ასეთი ადამიანების ერთიანობა უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების დაცვასა და განხორციელებას, პიროვნულად და ხასიათით ძლიერ ადამიანებს საუკუნეების განმავლობაში, სწორედ ეკლესია აყალიბებდა, როდესაც ადამიანის პირადი, სახელმწიფოებრივი, ეკლესიური ცხოვრება ერთი სისტემის ნაწილი იყო, ერთმანეთს უკავშირდებოდა. შესაბამისად, ვიღებდით ფსიქიკურად, გონებრივად, სოციალურად, სულიერად ძლიერ ადამიანებს, რომლებსაც თავისი თავის დაცვაც

შეეძლოთ და საზოაგდოებრივი, სახელმწიფოებრივი თუ ეკლესიური ინტერესებისაც. თუ ეკლესია არ იარსებებს, ასეთი ადამიანების აღზრდა იქნება შეუძლებელი, არ გამოდის ნახევრად ლიბერალი იყო, ნახევრად მართლმადიდებელი, ნახევრად კაპიტალისტი, ნახევრად დემოკრატი და ა.შ.

„მაშასადამე, ეკლესია პირდაპირ თუ არაპირდაპირ არის დამცველი იმ ღირებულებებისა, რაც ეროვნული ინტერესების კონცეფციაშია, განადიდებს ამ ღირებულებებს, მოუწოდებს საზოგადოებას იცხოვროს ამ ღირებულებებით, დაიცვან და გაძლიერდნენ ამ ღირებულებებში, შესაბამისად, ეკლესია სახელმწიფოს საქმეს აკეთებს, რომელმაც თავის მხრივ უნდა იზრუნოს, რომ ამ შეგნებით აღზარდოს მოქალაქეები.“ *[ექსპერტული ინტერვიუ: პოლიტოლოგი, გიორგი სახელაშვილი].*

რაც შეეხება სამართალმცოდნე გიორგი ფარეშიშვილს, ის არ მიიჩნევს, რომ თუ ეკლესიის გავლენა შესუსტდება ეროვნული ინტერესები გაძლიერდება.

„ქართული ეკლესია ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების გამტარებელი და განმამტკიცებელი, რადგანაც საქართველოს ეკლესიას აქვს ავტოკეფალია, წირვა-ლოცვა არის ქართულ ენაზე და მღვდელმთავრებიც იკურთხებიან ეროვნებით ქართველები და ასევე დღემდე საეკლესიო საზღვრები არის ურღვევი და მოიცავს ისტორიული საქართველოს ტერიტორიებსაც, რაც ერთგვარად განაპირობებს ეროვნული ინტერესების გაძლიერებასა და დაცვას, რაც მომავალი თაობებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.“ *[ექსპერტული ინტერვიუ: სამართალმცოდნე, გიორგი ფარეშიშვილი].*

ის სრულიად სამართლიანად თვლის, რომ ეკლესია პირდაპირ უნდა ემსახურებოდეს, როგორც ეროვნული, ასევე ზოგადად სახელმწიფო ინტერესების განხორციელებას. ეროვნულში, რა თქმა უნდა, ის არ გულისხმობს ვიწრო ნაციონალისტურ გაგებას, ზოგადად ეროვნულს, რადგანაც საქართველო არის მრავალრელიგიური სახელმწიფო და ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს, როგორც ეროვნულად ასევე ეთნიკურად მრავალფეროვანი საზოგადოება.

„აუცილებელია ეკლესიაც მათი უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდეს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და ზრუნავდეს მისი მრევლის ინტერესებზე, იმ რეალობიდან გამომდინარე, რაც გააჩნია მის მრევლს და იყოს ერის გამაერთიანებელი და არა დამყოფი.“ *[ექსპერტული ინტერვიუ: სამართალმცოდნე, გიორგი ფარეშიშვილი].* შესაბამისად, საჭიროა მათი ურთიერთთანამშრომლობა და მათი უფლებამოსილებების გამიჯნვა.

სხვებისაგან განსხვავებული აზრი გააჩნდა თეოლოგიის დოქტორ მირიან გამრეკელაშვილს, რომელიც თვლის, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობა კონტრპროდუქტიულია. მისი შეხედულებით, ეკლესიის წარმოდგენა საქართველოზე, როგორც სახელმწიფოზე, იმდენადაა გაჯერებული ისტორიცისტული ალუზიებით, რომ უბრალოდ არ შეესაბამება თანამედროვე ეპოქას. ის თვლის, რომ ეკლესია ცდილობს შექმნას, გარკვეული ეთნორელიგიური ტიპის მოძღვრება, რომელმაც თითქოს ეროვნული იდენტობა უნდა გააძლიეროს, მაგრამ საეკლესიო იერარქიის წარმოდგენა ამ მხრივ სრულიად დეზინტეგრატიულია.

„სახელმწიფოს მხოლოდ ტოტალურ მოდელს ცნობენ და მრავალკულტურული ქვეყნის არსებობა დაუშვებლად მიაჩნით, ეკლესიის როლი ამ მხრივ, პრაგმატული აზრით, ნეგატიურია.“ *[ექსპერტული ინტერვიუ: თეოლოგი, მირიან გამრეკელაშვილი].* ამ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები ბატონ მირიანს, რადგანაც ყველა ჩემი რესპოდენტი სასულიერო პირი, ერთხმად უარყოფს ეთნორელიგიურ მოძღვრებას, უფრო მეტიც, ის დაგმობილია, როგორც ეთნოფილეტიზმის ერესი და მკვეთრად უარყოფენ ამ მცდარ შეხედულებას. მიუხედავად ამისა ის აცხადებს, რომ საქართველოს ეკლესია არის ერთადერთი ყველაზე ძველი და ამ მხრივ ერთადერთი ისტორიული ინსტიტუცია საქართველოში. ამავე დროს იგი არის საკრალური ორგანიზმი და ძალიან ხშირად გვევლინება ეროვნული იდენტობის დამცველად.

საბოლოო ჯამში, გამოკითხული რესპოდენტები, მიუხედავად გარკვეული სხვადასახვაობისა, იხრებიან იმისკენ, რომ მართლმადიდებლობასა და ქართულ ნაციონალიზმს, უდიდესი წვლილი და დამსახურება მიუძღვის საქართველოს წინაშე. თითოეული რესპოდენტი ჯანსაღი აზროვნებით მიუთითებდა იმაზე, რომ ეს სულაც არ

ნიშნავს ეკლესიის მიერ საკუთარი ადგილის დავიწყებასა და ძალაუფლების გადამეტებას. ის უნდა იყოს დაცლილი პოლიტიკური ფავორიტიზმისგან და რელიგიური ფანატიზმისგან. თითოეულ ინსტიტუტს, კონსტიტუციითა და კონკორდატით დამტკიცებული მოქმედების არეალი აქვს და არ უნდა დაივიწყონ თავიანთი ადგილი და მოვალეობები. ამ ყველაფრის დაუცველობის გამოა თვალშისაცემი პრობლემები, როგორც მთავრობაში, ასევე ეკლესიაში. ეს პრობლემები გამოწვეულია მართლმადიდებლობის გაიდეოლოგიებით. ეს ყველაფერი, რომ ავიცილოთ თავიდან და სახელმწიფო დაემსგავსოს სახელმწიფოს, აუცილებელია კოლაბორაცია ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. მსგავსი ტიპის ურთიერთობებია წარმოდგენილი ევროპაში, სადაც აშკარა კოლაბორაციულ ურთიერთობებს ვხვდებით სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

აქედან გამომდინარე, სეკულარიზმი სულაც არ ნიშნავს ყრუ კედელს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. მათი ურთიერთობის ეს ფორმა ეწინააღმდეგება სეკულარიზმის ნამდვილ კონცეფციას. მიუღებელია, როგორც ანტისტეიტიზმი, ასევე რადიკალური უარყოფა ეკლესიისა. ასე, რომ მთავარია თანამშრომლობა მათ შორის, უნდა შეასრულონ თავიანთი ვალდებულება, არ გამოიწვიონ პოლარიზაცია საზოგადოებაში და არ გადააჭარბონ საკუთარ უფლებამოსილებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე ინსტიტუტი, ეკლესიაც და სახელმწიფოც გახდება ბოროტების წყარო და საუკუნეების განმავლობაში შეკოწიწებული ქართული სახელმწიფოს ჩამოშლისა და განადგურების წინაპირობა.

3.2 საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობა, პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირების პროცესში

ამ შემთხვევაში საჭიროა დავაკვირდეთ მიმდინარე პოლიტიკურ რეალობას და დავადგინოთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილი თანამედროვე, სეკულარულ საზოგადოებაში. ასევე უნდა დავაკვირდეთ ეკლესიის გავლენას პოლიტიკურ სტატუს-კვოზე.

ამის მაგალითად კი კანაფის ექსპორტის თემა და ეკლესიის მიზნობრივი წინააღმდეგობაა, რამაც დაგვანახა ეკლესიის გავლენის ძალმოსილება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ კრიზისულ სიტუაციაში, პოლიტიკური დღის წესრიგის განპირობების კონკრეტული მაგალითია კანაფის საქმე, როდესაც ივანიშვილის მთავრობამ გადაწყვიტა მისი ექსპორტირება, ეკლესია კი ზეწოლის ჯგუფის სახით მოგვევლინა. მოსახლეობის სეკულარულად განწყობილი ნაწილი თვლის, რომ მთავრობის მიერ დათმობის შემთხვევაში, შეუზღუდავად გაძლიერდება ეკლესიის ძალაუფლება პოლიტიკურ საკითხებში.

ამასთან დაკავშირებით, ჩემი რესპოდენტი, ისტორიის დოქტორი, დეკანოზი ლევან მათეშვილი ხაზს უსვამს იმას, რომ ეკლესიას აქვს საკუთარი მისია, რომელიც ოდითგანვე განსაზღვრულია მსოფლიო საეკლესიო კრებების მიხედვით და ის არის მართლმადიდებლობის ნაწილი და მიმდევარი. ამასთანავე, მისი აზრით, ეკლესია მხოლოდ კრიზისულ სიტუაციებში ერთვება და ირგებს წინამძღოლის ფუნქციას.

ამის მაგალითად მოჰყავს რუსული ოკუპაცია, როდესაც გორის ეპარქიაში, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოახერხა საერო და სასულიერო როლის შეთავსება, ის აწარმოებდა მოლაპარაკებებს რუსულ ოკუპაციურ ძალებთან. მან იხსნა ადგილობრივი საზოგადოება მინიმუმ შიმშილისაგან და ასევე რუსული ჯარის მარადიორობისაგან. *[ექსპერტული ინტერვიუ: ისტორიის დოქტორი (დეკანოზი), ლევან მათეშვილი].* ის ამბობს, რომ თუ სეკულარიზმი ესმით, როგორც ყრუ კედელი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, ეს ნიშნავს იმას, რომ არასწორად ესმით სეკულარიზმის დეფინიცია. ის გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, კოლაბორაციას

საერო და სასულიერო ინსტიტუტებს შორის. თვით ევროპის ქვეყნებში ვხვდებით მსგავსი სახის კოლაბორაციას. მაშასადამე, ამ ორ ინსტიტუტს შორის ურთიერთობა არ უნდა დავიყვანოთ სტერილურობამდე და მათ შორის გათიშულობამდე.

მაშასადამე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ინსტიტუტი ქართული სულიერი მისიის უმთავრეს გამოვლინებასა და ეროვნული ფასეულობების ფორმირების წინაპირობას წარმოადგენდა, საუკუნეების განმავლობაში. ის წარმოადგენს ქართველი ერის სულიერ მისიას, რაზეც საუბრობს ზვიად გამსახურდიაც თავის ნაშრომში, ამასვე ამტკიცებს ილია ჭავჭავაძისეული კონცეფცია და ცნობილი ტრიადა, რაც ასევე ზუსტად გამოხატავს ქართულ, ეროვნულ ფასეულობებს, რაც ოდნავ განსხვავებული ფორმით გამოვლინდა ილია ჭავჭავაძის მეშვეობით, რაც აუცილებელი იყო იმ ეპოქაში, როდესაც საერთოდ ქართული ეროვნების გაქრობის საფრთხის წინაშე იდგა ქართული სახელმწიფო და ილიასა და თერგდალეულების, ასევე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემწეობით მოხდა ის, რომ საქართველომ შეინარჩუნა საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობა და მოაღწია დღემდე. დღესაც იგივე საფრთხის წინაშე ვდგავართ, ცნობილი გარემოებების გამო, რაც არ არის ახალი და საუკუნეების განმავლობაში გრძელდება.

ამასთანავე, აღსანიშნავია გაიოზ მამალაძის სტატია: „აღმსარებლობა და ქართული ნაციონალიზმი/ერთობის ფორმულა.'' ამ სტატიაში ნათლადაა ჩამოყალიბებული ქართველი ერის სულიერი მისიის მაფორმირებელი ფაქტორები და მისი მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოსათვის, ადრეული პერიოდიდან მოყოლებული. "გრიგოლ ხანძთელისა და მისი თანამედროვეების მიერ შემუშავებული იყო შემდეგი კონცეფცია: "ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღრაცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების". (მამალაძე, 2014).

ამიტომაც, აუცილებელია არა უარყოფა რელიგიისა ან ნაციონალიზმისა, უკიდურესობაში გადასვლის საშიშროების გამო, არამედ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ჰარმონიული ურთიერთობა. ასევე არ უნდა მოხდეს უკიდურესი სეკულარიზმის გამოვლინება, უკიდურესი ნაციონალიზმის მსგავსად.

„ჩვენ შეძლებისდაგვარად უნდა დავეხმაროთ როგორც ივერიის სამოციქულო ეკლესიას, თითოეულ ქრისტიანს, ასევე ქართველ მაჰმადიანებსა და მთელს სამაჰმადინო საქართველოს (საინტერესო ფაქტი: 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში გაიმართა აჭარის წარმომადგენელთა ყრილობა, მემედ აბაშიძისა და ოლქის ქართველ-მაჰმადიანთა საზოგადოების ინიციატივით. დადგენილება აცხადებდა: „ბათუმის ოლქის მუსულმანები მათი სისხლის, ენის, კულტურისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით ქართველები არიან”).'' (მამალაძე, 2014).

შესაბამისად, უაზრობად მიმაჩნია საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების განხილვა, მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის გარეშე, რაც წარმოადგენს ეროვნულ საუნჯეს, მარად დაქსაქსული ქართველი ერისათვის, რომელიც იყო ჩვენი გამაერთიანებელი, ეროვნული ენთუზიაზმის გამომწვევი და ეროვნული თვითგადარჩენის სულისჩამდგმელი.

თავი IV: მართლმადიდებლობის როლი ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში, ილია მეორის ეპისტოლეების ანალიზის საფუძველზე

ფრიად საინტერესოა ილია მეორის ეპისტოლეების შესწავლა, სადაც შეგვიძლია დავაკვირდეთ ზეციური საქართველოს იდეას, რაც წარმოაჩენს ქართული მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის ღრმა აზრს. პირველ რიგში გვერდს ვერ ავუვლი სიტყვებს ბიბლიიდან*:* „მიეცით კეისრისაჲ კესარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.“ (მათ. 22, 21). ამ სიტყვებიდანაც ნათლად ჩანს საერო და სასულიერო ინსტიტუციების გამიჯნვის აუცილებლობა, როდესაც თითოეული ინსტიტუტი თავის საქმეს აკეთებს და არ ერევა ერთმანეთის საქმიანობაში, მათ შორის ჰარმონიული ურთიერთობა სუფევს, რაც თავისი არსით წააგავს დავით აღმაშენებლის დროინდელ სისტემას.

გამოჩნდება უამრავი სკეპტიკოსი, რომელიც იტყვის, რომ ის სხვა ეპოქაა და ეს სხვა და მათ შორის სხვაობა კოლოსალურია. ამის თაობაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ იცვლება არა დრო, არამედ იცვლებიან ადამიანები, ამიტომაც ნებისმიერი ცვლილება დასაშვები და შესაძლებელია ადამიანთა ცვლილების შედეგად და ეს ყველაფერი არავითარ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული დროზე. შესაბამისად, ცვლილება თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული და ნებისმიერ მომენტში შეიძლება ცვლილებების განხორციელება. ამავეს ამბობს თეოლოგი თეიმურაზ ბუაძე თავის სტატიაში: „რელიგია და პოლიტიკა“, რომელშიც ის ხაზს უსვამს საერო და სასულიერო ინსტიტუციების გამიჯნვის აუცილებლობას.

„უფალი მკვეთრად განასხვავებს რა ღმრთისა და კეისრისადმი მორჩილებას, ამით ხაზს უსვამს სიწმინდესა და წესრიგს, საკრალურსა და პოლიტიკურს შორის განსხვავებასა და ეკლესიასა და სახელმწიფოს ინსტიტუციური გათიშულობის აუცილებლობას; ღმერთი და კეისარი ადამიანისგან სხვადასხვა რამეს ითხოვს, პირველი სიწმინდესა და სულიერ აღორძინებას, ხოლო მეორე – წესრიგს.“ (ბუაძე, 2019).

მაშასადამე, აუცილებელია გამიჯნული საერო და სასულიერო მოღვაწეობა, რადგანაც წესრიგი აუცილებლად სიკეთეზე არ მიგვითითებს, ხოლო სახელმწიფო არ არის ყოველთვის ცუდი, თუ ეს ორი ინსტიტუტი არ ახდენს შეჭრას ერთმანეთის საქმიანობაში და ერთმანეთზე გაბატონებას არ ცდილობენ.

დღევანდელი გადმოსახედიდან, ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურება და განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. როგორც წინათ აღვნიშნე, საინტერესოა თუ როგორ გაიგება მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმი, ილია მეორის ეპისტოლეებში და როგორ ეწყობა თანამედროვე ქართულ რეალობას.

აღსანიშნავია, რომ ქრისტეანობამ მოახდინა სახელმწიფოს დესაკრალიზაცია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მან უარყო სახელმწიფოს აუცილებლობა. ამ თემას კარგად განიხილავს თეოლოგი თეიმურაზ ბუაძე. (ბუაძე, 2019).

„ადამიანი უაღრესად სოციალური არსებაა, მასთან დაკავშირებული ყველა ბოროტება ბუნებრივად იღებს სოციალურ განზომილებას ან თუნდაც სოციალურ ელფერს. ასეთი გარეგანი ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად კი ყველაზე ეფექტური საშუალება კარგად ორგანიზებული, მიზანმიმართული და დისციპლინირებული პოლიტიკური ძალისხმევაა. ასეთი რამ ყველაზე კარგად სახელმწიფოს ხელეწიფება. ამიტომ იქ, სადაც ჯანსაღი რელიგიური ცხოვრება კნინდება, ანუ საკუთარი ცოდვების განცდა იკლებს, მის საპირისპიროდ იზრდება სახელმწიფოს საკრალიზაციის, საკრალურის პოლიტიკურით ჩანაცვლების ტენდენციები.“ (ბუაძე, 2019).

მაშასადამე, რადიკალური სეკულარიზმი, ისევე, როგორც რადიკალური თეოკრატიზმი ხდება მრავალი საფრთხის შემცველი. მიუღებელია, როგორც საერო, ისე სასულიერო ტიპის დიქტატურა. ეს ხდება მაშინ, როდესაც მათ შორის საზღვრები იშლება და იწყებენ ჩარევას ერთმანეთის საქმიანობაში, რის გამოც ყოველთვის ზარალდება ხალხი და ქვეყანა. ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია მათი მოღვაწეობის სფეროების გამიჯნვა და არა რომელიმე ინსტიტუტისა, ამ შემთხვევაში ეკლესიის სრული იზოლირება თუ განეიტრალება.

რაც შეეხება მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის არსს ილია მეორის ეპისტოლეებში, ის გვხვდება, რა თქმა უნდა, თავისი უძველესი დანიშნულებით, რაც ისტორიულ წარსულში ჰქონდა. გიორგი ჭყონდიდელის მიხედვით, დავით აღმაშენებელთან საუბრისას, ქართული სახელმწიფოს აღდგენის საფუძველი ღირსების აღდგენა იყო. ხაზგასასმელია ისიც, რომ ჩემ მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა იმავეს გულისხმობს, რაც პატრიარქის ეპისტოლეებშია წარმოდგენილი.

„პირველყოვლისა, ჩვენს ხალხს სწყუროდა არა მხოლოდ თავის გადარჩენა, არამედ გადარჩენა იმ დიდი მადლისა, რომელიც ქრისტეს წმიდა კვართს, მოციქულთა აქ მობრძანებას და ღვთისმშობლის მიერ ქალწული ნინოსთვის ბოძებულ ვაზის ჯვარს შემოჰყვა ჩვენში. ჩვენმა ეროვნულმა სულმა ქრისტიანობის მიღების შემდეგ ისე შეიყვარა მხოლოდშობილი ძე ღვთისა, რომ დაუნანებლად ვსწირავდით თავს ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის გადასარჩენად... და ჩვენ შევინარჩუნეთ ქრისტიანობა საქართველოში, და მისი მადლით შევინარჩუნეთ თვითმყოფადობა და ეროვნული ჩვენი სიცოცხლე.“ (ილია II, საშობაო ეპისტოლე, 1981).

ზემოთ ნათქვამს თუ გავიმეორებ, თვალსაჩინოა, რომ საქართველო იბრძოდა ქრისტე ღმერთის სახელით და სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული მათი თვითმყოფადობა. პატრიარქის ეპისტოლეებშიც იგივე აზრს ვხვდებით, რომ საქართველო ვერ გადარჩებოდა, როგორც ქართული სახელმწიფო მართლმადიდებლობის გარეშე, რაც საფუძველი იყო ეროვნული იდენტობისა და ერთსულოვნებისა. ამავეს საუბრობს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, რომელიც ხაზს უსვამდა მართლმადიდებლობის მნიშვნელობას, საქართველოს ფიზიკური გადარჩენის საქმეში.

შესაბამისად, ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიური საფუძველი იყო მართლმადიდებლური ფასეულობები ადრეც და ილია ჭავჭავაძის დროსაც. „ქრისტიანობის გარეშე ჩვენ, როგორც თვითმყოფადი ერი, ვერ ვიარსებებდით, მოვკვდებოდით...“ (ილია II, საშობაო ეპისტოლე, 1981). ილია ჭავჭავაძის დროს გამოკვეთილი სახე მიიღო ნაციონალიზმმა, რომელმაც გააერთიანა რუსეთის მარწუხებისაგან შევიწროებული, ფიზიკური განადგურების პირას მისული ქართველი

ერი და გადარჩენის რეალური შანსი დიდი ენთუზიაზმითა და თავდადებით გამოიყენა. როგორც პატრიარქის ეპისტოლეებშია ნათქვამი, ქრისტეანობის ძალმოსილების დამსახურებაა უამრავი ქართველი გმირის თავგანწირვა სამშობლოს დასაცავად. ამ ყველაფერს უკავშირდება, ჩემ მიერ განხილული გამიჯნულობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის.

ეკლესია და სახელმწიფო ერთად უნდა მოქმედებდნენ საკუთარი ერის საკეთილდღეოდ, რაც დასტურდება კიდეც პატრიარქის ეპისტოლეებში. „საქართველოს ეკლესია ყოველთვის იყო და დარჩება ერის სულიერ გამაერთიანებელ ძალად, ამიტომაც ეკლესია უნდა დაეხმაროს სახელმწიფოს, - როგორც კოორდინატორს, - ყოველი სასიკეთო ნაბიჯის გადადგმისას, რა თქმა უნდა, იგივე მიმართულება უნდა ჰქონდეს სკოლასაც და ოჯახსაც.“ (ილია II, საშობაო ეპისტოლე, 1999). გარდა ამისა, საუბარია ზეციურ საქართველოზე, რომელიც დაფუძნებულია ტრადიციულ შეხედულებებზე ქართველობისა და მასთან დაკავშირებულ მართლმადიდებლურ მრწამსზე.

აღსანიშნავია ის, რომ დღეს აქტიურად ცდილობენ დაარწმუნონ საზოგადოება იმაში, რომ ქართულ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა ვერ მოხდება. პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ქართული ეკლესია მათი აზრით, რუსული ინტერესების გამტარებელია და მასთან თანამშრომლობა ქათულ სახელმწიფოს არავითარ სიკეთეს არ მოუტანს. მეორე რიგში, ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობა, თითქოს სეკულარული სახელმწიფოს ძალაუფლებას ამცირებს და ზრდის ეკლესიის ძალაუფლებას, რომელიც ისევ და ისევ რუსული ინტერესების აქტიური გამტარებელია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არცაა გასაკვირი დღევანდელი მძიმე მდგომარეობა, პოლიტიკური განუკითხაობა, საზოგადოებრივი გაუთვითცნობიერებლობა, რაც ხდება საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების უმთავრესი პირველწყარო/პირველმიზეზი. ამის გამო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა რთულდება, რაც თავისთავად აპრობლემებს ქართულ-ეროვნული ინტერესების განხორციელებას.

ეს ყოველივე იწვევს სრულ დესტაბილიზაციასა და ქართული სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების შეფერხებას. ამას ემატება ეკონომიკური სიდუხჭირე,

საპენსიო ასაკის ადამიანების მძიმე მდგომარეობა, სოციალური დაუცველობა და ხვალინდელი დღის შიში. ამან გამოიწვია დღევანდელი სავალალო მდგომარეობა, ეროვნული ფასეულობებისა და ქართული ნაციონალიზმის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება, რაც ხშირ შემთხვევაში საზოგადოებაზე გარედან არის თავსმოხვეული.

ამას გარდა, უმნიშვნელოვანესია იმის ხაზგასმა, რომ ქრისტეანობის გაიგივება ქართველობასთან და ქართველობისა ქრისტეანობასთან არ ნიშნავს მის მტრულ დამოკიდებულებას სხვა ეროვნების წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები.

მსგავსი დამოკიდებულება იყო განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის დროს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი გადარჩენის საკითხი დადგა. ამაზეა საუბარი ილია მეორის ერთ-ერთ ეპისტოლეშიც. „თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობა და თავის თავში ჩაკეტილობა ურთიერთგამომრიცხავი მცნებებია. ქრისტიანისთვის ყოველი ადამიანი, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი, და რა სარწმუნოებისაც, მოყვასია და ღვთის წინაშე ვალდებულია უყვარდეს ის, მოწყალე სამარიტელის იგავი ამის ნათელი დადასტურებაა.“ (ილია II, საშობაო ეპისტოლე, 2000).

ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ გალაშქრების კიდევ ერთი საბაბი, გარდა იმისა, რომ შეცდომით ცდილობენ მიაწერონ პატრიოტიზმს საკუთარ თავში ჩაკეტილობა, მტრული განწყობილება განსხვავებული ეროვნების წარმომადგენლების მიმართ. მსგავსი მიზეზების მოშველიებით ხდება ქართული ნაციონალიზმისა და კონკრეტულად მართლმადიდებლური მრწამსის უარყოფა და სეკულარულ სახელმწიფოში მისი როლის მინიმიზირების სურვილი ჩნდება, რაც ქართულ-ეროვნული ფასეულობების შესუსტებას გამოიწვევს, რადგანაც ისტორიული წარსულის შესწავლით, ადვილი დასანახია ის, რომ ქართული/ეროვნული ფასეულობების მაფორმირებელი უმთავრესი საფუძველი საუკუნეების განმავლობაში, მართლმადიდებლური მრწამსი იყო. მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმი არათუ არ უშლის ხელს ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობას, არამედ პირიქით აძლიერებს მას, ამავეს გულისხმობს ჩემ მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა, რომ ეროვნული ინტერესების

განხორციელებით, უპირველეს ყოვლისა მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმია დაინტერესებული. მსგავს მიგნებებს ვაწყდებით ილია მეორის ეპისტოლეებშიც.

„დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპი განსხვავებული აზრის შემწყნარებლობისა ეკლესიაში ოდითგან იყო აღიარებული და დაცული. ეკლესიის წევრები იყვნენ მეფეები და გლეხები, მონარქისტები და რესპუბლიკელები, დიდნი და მცირენი..., რადგან უფალში ერთია ყველა; აქ არ არის „ჰურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა“ (გალ. 3.28). ღვთის წიაღში ერთიანდება უფლის მცნებების ყველა დამცველი მიუხედავად თავისი პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული თუ ასაკობრივი სხვაობისა და ეს ქმნის ეკლესიის ერთობას. ამიტომაც ეკლესიას ყველა უნდა გაუფრთხილდეს, როგორც ქვეყნის მთლიანობის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს.“ (ილია II, საშობაო ეპისტოლე, 2004).

უფრო მეტიც, დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ქართული კულტურა უაღრესი ტოლერანტობით გამოირჩევა, რაც სწორედ ქრისტეანული წიაღიდან მოდის. სწორედ მართლმადიდებლური ფასეულობებითაა ნაკარნახევი და საყოველთაოდ გათავისებული ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა ერების მიმართ. „ამ უმთავრესი სულიერი მისიის გარდა საქართველოს ეკლესია არის ქვეყნის დამოუკიდებლობის, ეროვნული თვითშეგნების და ერთიანობის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი. ამ ფუნქციის აღსრულების გამოხატულება იყო მაგ. აფხაზებთან და ოსებთან შერიგების დაწყება. ამ პროცესს ახლახან, 25 დეკემბერს, ჩაეყარა საფუძველი და, ვიმედოვნებთ, პრობლემების მიუხედავად, იგი შეუქცევადად განვითარდება.“ (ილია II, საშობაო ეპისტოლე, 2005).

გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართლმადიდებლობა წარმოადგენს ჭეშმარიტი ქართული დემოკრატიის საფუძველს. საუკუნეთა მიჯნაზე ცდილობდნენ ასიმილირება მოეხდინათ ქართველი ერისა, რაც მას გამორჩეული, უნიკალური კულტურისა და აზროვნების დაკარგვას უქადდა, რაც ავტომატურად ნიშნავდა ეროვნული ინტერესების განხორციელების შეუძლებლობას.

„მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ ჩამოაყალიბა არა მხოლოდ ერთიანი, ქართული სახელმწიფო და უნიკალური ქართული კულტურა, არამედ განსაზღვრა ქართველი კაცის ცხოვრებისა და აზროვნების წესიც. დღესაც ჩვენი ხალხი, მიუხედავად ათეისტური რეჟიმის 70-წლიანი ბატონობისა, მართლმადიდებლური კულტურის ერს წარმოადგენს. თვით მუსულმანი ქართველებიც კი საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებენ ისეთ ტრადიციებს, რომელიც ქრისტიანული სწავლებიდან მომდინარეობს და მამა-პაპათაგან აქვთ შესისხლხორცებული.“ (ილია II, საშობაო ეპისტოლე, 2006).

როგორც ვხედავთ, ილია მეორის ეპისტოლეებშიც ფიქსირდება იდეა იმისა, რომ ქრისტეანული ფასეულობებით განმსჭვალული ფასეულობების უარყოფა ნიშნავს ქართული მეობისა და ეროვნულობის უარყოფას. ქართული ტრადიციული აზროვნება ეფუძნება მართლმადიდებლობას, რაც თავისთავად მოიცავს ნაციონალურ ერთიანობასაც, რაც იყო გამაერთიანებელი ქართული სახელმწიფოსი, რომელიც საუბედუროდ, ხშირად იყო დაქუცმაცებული. ერთადერთი გამაერთიანებელი და ეროვნული იდეების მატარებელი, მართლამდიდებლობით სულჩადგმული ქართული ნაციონალიზმი იყო, რაც ილია ჭავჭავაძის დროს ახალი სახით მოგვევლინა, რამაც კვლავ გააერთიანა ქართველი ხალხი და სარწმუნოების მნიშვნელობის საკითხი კვლავ წინ წამოსწია.

დღეს სიტუაცია ისევ მძიმეა, კვლავ არსებობს უამრავი საფრთხე, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებას უშლის ხელს. ყველა საფრთხის განეიტრალება კი მოითხოვს ისევ და ისევ ეროვნულ ერთობასა და შიდა დაპირისპირებათა მინიმიზირებას. ამაზეა საუბარი ისევ ილია მეორესთან, სადაც საუბარია ეკლესიისა და სახელწიფოს თანამშრომლობაზე, რათა შეძლებისდაგვარად გავანეიტრალოთ გარე საფრთხეები. „ქართულმა იდეამ რომ ხორცი შეისხას და განვითარდეს, საჭიროა გაერთიანდეს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ეკლესიის ძალისხმევა.“ (ილია II, საშობაო ეპისტოლე, 2007).

შესაბამისად, ის ბრალდებები, რაც გვესმის ქართული ელესიისა და მართლმადიდებლობის საწინააღმდეგოდ, იქნება ეს შოვინიზმი, რასიზმი თუ ტრადიციული ფასეულობების სრული უარყოფა, ანუ კოსმოპოლიტიზმი, საფუძველს მოკლებულია.

„ღმერთი, სამშობლო, მოყვასი,- ეს არის ერთმანეთისაგან გამომდინარე იერარქია და უწყვეტი ჯაჭვი; თუ ღმერთის ადგილი სხვა რამემ, თუნდაც სამშობლომ, დაიკავა, ზემოთ აღნიშნული თანამიმდევრობა ირღვევა და პატრიოტიზმი უკვე ხელოვნურად გამოგონილ ღირებულებებს ეფუძნება, რომელთაც შეიძლება კარგი სახელიც ერქვას, მაგრამ შედეგად ვიღებთ ისეთ მანკიერ გამოვლინებებს, როგორიცაა ფაშიზმი, რასიზმი და შოვინიზმი, ანდა ტრადიციული ფასეულობების სრულ უარყოფას, - კოსმოპოლიტიზმს. ამ ორ უკიდურესობას გამორიცხავს ღვთის რწმენა, რომელიც ჭეშმარიტ პატრიოტიზმს განაპირობებს.“ (ილია II, საშობაო ეპისტოლე, 2007).

პარალელს თუ გავავლებთ, თვალნათლივ ჩანს მიხეილ წერეთლის აზროვნების გაგრძელება კოსმოპოლიტიზმთან დაკავშირებით, რომ ის წარმოადგენს ტრადიციულ-ეროვნული ფასეულობების სრულ უარყოფას. მიუხედავად ყველაფრისა, საბედნიეროდ ეს უტოპიური პროექტია, რომელიც ერთა მრავალფეროვნებას, გადაგვარებასა და ერთმანეთში აღრევას უქადის.

კოსმოპოლიტიზმი ან უკეთ, რომ ვთქვათ გეოპოლიტიზმი, პირდაპირ ეწინააღმდეგება ტრადიციულ და ნაციონალურ/ეროვნულ ფასეულობებს, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობას ინარჩუნებდა საუკუნეების განმავლობაში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, იკვეთება მართლმადიდებლობისა და ქართული ნაციონალიზმის მნიშვნელობა, ერის ინდივიდუალურობის შენარჩუნების საქმეში. ამიტომაც ვამახვილებ ყურადღებას ქართული ნაციონალიზმის მნიშვნელობაზე ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში.

ეროვნული ინტერესების მთლიანობასა და მის ცხოვრებაში განხორციელებას უზრუნველყოფს მართლმადიდებლობა, ქართული ენა, რომელიც ასევე ქრისტეანული მსოფლმხედველობითაა განმსჭვალული. სწორედ ამას გულისხმობს ზეციური საქართველო და ივერიის გაბრწყინების იდეა. ეს არ არის პასიური პროცესი, რაც გულისხმობს უბრალო მოლოდინს თუ როდის მოხდება ეს ყოველივე თავისთავად ან თუნდაც ევროინტეგრაცია, თითქოს დაუყოვნებლივ შეცვლის რეალობას. ჩვენს ამჟამინდელ ყოფას შეცვლის მხოლოდ ეროვნული იდენტობის შენარჩუნება, ქრისტეანული ფასეულობების უფრო ღრმად გააზრება და მათი აქტიური დანერგვა ქართულ რეალობაში. სწორედ ამაზე საუბრობს ილია მეორე თავის ეპისტოლეში.

„ჩვენს ეროვნულ არსს, ჩვენს ეროვნულ მთლიანობას, როგორც ბრძანებს წმიდა ილია მართალი, სამი მძლავრი ფესვი ასაზრდოებს. საკუთარი მიწა, ქრისტიანობა და ენა ქართული. მათ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან თუ ქართველთა შორის დაიკარგა გრძნობა და განცდა ამ ჭეშმარიტებისა, იმ გადამრჩენელ ბილიკს ვერასდროს მივაგნებთ.“ (ილია II, სააღდგომო ეპისტოლე, 1990).

ერთ-ერთი უმძიმესი პრობლემა ისაა, რომ ქართველი ერი მიმბაძველობით გამოირჩევა და ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ იაზრებს იმას, თუ მისი მიბაძვის საგანი, რამდენად არის მისაბაძი ან შეიძლება თუ არა მისი გადმოტანა ქართულ რეალობაში, მოერგება თუ არა ქართულ რეალობას. ამაზე გამოთქვამს წუხილს ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე. ჩვენ გვახასიათებს გადამრჩენელის/მხსნელის ძიება, მაგრამ ამ ყველაფერს შრომა, განათლება და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნება ესაჭიროება. ერს ქმნიან ჯანსაღი ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ გამოკვეთილი ეროვნული იდენტობა, საერთო ისტორიული მეხსიერება და დამოუკიდებელი მომავალი.

„იდეა უნდა ჰქონდეს ერსაც: მას ცხადად და გარკვეულად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული საუკუნეთა მანძილზე უპირველესად რას ემსახურა. ჩვენი ხალხის ისტორია გვაფიქრებინებს, რომ ღვთისკენ სწრაფვის ძირითად იდეას, უპირველეს ყოვლისა, მოყვასის სიყვარულით ვახორციელებდით და მიუხედავად ყველაფრისა, დღესაც ვახორციელებთ. ეს სიყვარული ადუღაბებს და ამთლიანებს სრულიად საქართველოს.“ (ილია II, სააღდგომო ეპისტოლე, 1993).

მიმბაძველობა იწვევს ყველა იმ უარყოფით შედეგს რასაც დღეს ვხედავთ. ამ ყველაფრის წინააღმდეგ, მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს. დავრჩეთ ერთგულნი საკუთარი ფასეულობებისა და ტრადიციებისა. არცერთი ჭკუათმყოფელი ერი არ უარყოფს თავის მეობას, ისტორიულ წარსულს, ნაციონალურ ერთიანობას. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ევროპა. ევროპის ქვეყნებში, აფასებენ საკუთარ ისტორიულ წარსულს, ამაყობენ თავიანთი მშობლიური ენითა და კულტურით. საქართველოში კი ყოველივე სხვაგვარადაა. ქართული ენა არ არის ისე დაფასებული, როგორც უნდა იყოს. ქართველ ახალგაზრდებს, ხშირ შემთხვევაში რცხვენიათ კიდეც საკუთარი კულტურისა და ეროვნული იდენტობის გამოვლინებისა.

როდესაც არ არსებობს ბრმა მიმბაძველობა, ეკლესია და ხელისუფლება ჰარმონიულად თანამოქმედებენ, მაშინ იწყება საზოგადოების განვითარება, გათვითცნობიერების ხარისხის ზრდა. მყარი ნაციონალური და ეროვნული ღირებულებების გარეშე, ქვეყანა ხდება ფსევდოდემოკრატიისა და ფსევდოლიბერალიზმის მსხვერპლი. გაუგებარია, რატომ უნდა თქვას რომელიმე ერმა უარი თავის მეობაზე, უტოპიური/განუხორციელებელი კოსმოპოლიტიზმის გამო. საყოველთაო გლობალიზაციას თავისი გამოწვევები ახლავს თან, რაც ვერ სცდება იდეოლოგიურ დაპირისპირებებს, სახეზეა ცივილიზაციათა შეჯახება, რაზეც საუბრობდა სემუელ ჰანგთინგტონი. ეს ყოველივე აშკარად ფიქსირდება ილია მეორის ეპისტოლეებში.

„თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს არა აქვს სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად მთლიანად დაანგრევს ქვეყანას. ის უბიძგებს საზოგადოებას ფსევდოდემოკრატიისა და ცრუ თავისუფლებისკენ, გააუფასურებს ეროვნულ ღირებულებებს, დაარღვევს ფორმასა და შინაარსს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა.“ (ილია II, სააღდგომო ეპისტოლე, 2001).

საბოლოო ჯამში, ეროვნული იდეა, რომლის საყრდენი არის მართლმადიდებლობა და ქართული ნაციონალიზმი, საჭიროებს მუდმივ დაცვასა და აქტიურ გამოყენებას. მართლმადიდებლობა და ქართული ნაციონალიზმი ქართული სახელმწიფოს ეროვნულ/იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. მისი უარყოფა ფსევდოსეკულარული სახელმწიფოს სახელით, დამღუპველი ქმედება აღმოჩნდება ჩვენი სამშობლოსათვის.

თავი V: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული ნაციონალიზმის მნიშვნელობა დღევანდელ საქართველოში

საქართველო, რომელიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია, საჭიროებს მნიშვნელოვან ეროვნულ საფუძველს, რაც დაეყრდნობა ნაციონალურ თვითშეგნებასა და ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილ მთელ რიგ მემკვიდრეობას, რაც აშკარად უკავშირდებოდა ქართველობის დაკავშირებას რელიგიურ მრწამსთან, რაც კონკრეტულად ვლინდებოდა ქრისტეანული მსოფლხედვის ერთგულებაში. ქართული მენტალიტეტი გაჟღენთილი იყო ქრისტეს ერთგულებითა და მესიის მახვილის როლის შეთავსებით, როდესაც მთელი საქრისტიანოს ბოლო იმედი და კერა ხშირად ხდებოდა საქართველო, რაც ისლამური ექსპანსიონიზმის გავრცელების ერთადერთ შემაკავებელ ძალადაც კი გვევლინებოდა საუკუნეების განმავლობაში.

დღეს ნათლად ვხედავთ აშკარად გამოხატულ ნეგატიურ განწყობილებას ეკლესიისა და მართლმადიდებლური მრწამსის მიმართ, რასაც ამართლებენ იმით, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის პრორუსული ძალის გამოვლინება საქართველოში და რუსეთის ოკუპაციური აგრესიის გასანეიტრალებლად, აუცილებელია ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთ თქმულს კონკრეტული მიზანი გააჩნია. ეს მიზანი წარმოადგენს გლობალისტურ-მონდიალისტური უტოპიის, რეალობაში განხორციელების თავგადაკლულ მცდელობას, რომლის უტოპიურობა დღითიდღე თვალში საცემი ხდება. ამას ადასტურებს მიხეილ წერეთლის ნააზრევიც, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ წარმოგვიჩინოს კოსმოპოლიტიზმის (გეოპოლიტიზმის) განუხორციელებლობა.

ნაციონალისტური კერების აღორძინების ნათელ მაგალითებს ვხედავთ ევროპის მასშტაბითაც, სადაც მოსახლეობა უკმაყოფილოა მიმდინარე მოვლენებითა და უკონტროლო მიგრაციული პროცესებით. მათი უკმაყოფილება ვლინდება იმაში, რომ ისინი ხმას აძლევენ ნაციონალური იდეოლოგიის მატარებელ პარტიებსა და ხშირ

შემთხვევაში რადიკალური მემარჯვენე იდეების ერთგულ პარტიულ თუ პოლიტიკურ ლიდერებს.

გარდა ამისა, იგივე ტენდენციას ვხედავთ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ დაიწყო ნაციონალისტური განცხადებების გაკეთება და ქმედებების განხორციელება. ეს გამოვლინდა თუნდაც იმაში, რომ ტრამპის მიერ გაჟღერდა მექსიკასთან კედლის აგების სურვილი და ასევე დონალდ ტრამპის ცნობილი სლოგანი: "Make America Great Again", რაც გულისხმობს ნაციონალური იდენტობისა და თვითშეგნების აღზევებით, სახელმწიფოს კეთილდღეობის ზრდას.

უფრო მეტიც, საქართველოშიც კი კეთდება განცხადებები, რაც ხაზს უსვამს ქართული სახელმწიფოს შენების საქმეში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელობას. ამის მაგალითია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის განცხადება, რაც აშკარად ხაზს უსვამს მართლმადიდებლობის უდიდეს წვლილს ქართული მენტალობისა თუ სახელმწიფოებრიობის გადარჩენაში. „ძლიერი ქართული ეკლესია ნიშნავს ძლიერ ქართულ სახელმწიფოს, ხოლო ძლიერი სახელმწიფო ნიშნავს ძლიერ ქართულ ეკლესიას.'' (ბახტაძე, 2018).

შესაბამისად, გვერდს თუ ავუვლით გლობალისტ-პროპაგანდისტებს, აშკარად შესამჩნევი გახდება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი თანამედროვე საქართველოში. ნებისმიერი იდეოლოგია შეიძლება იქცეს რადიკალიზმის უხეშ გამოვლინებად, თუ მისი გამოყენება მოხდება გათვითცნობიერებისა და სიბრძნის გარეშე, რაზეც საუბრობს კიდეც პლატონი თავის რესპუბლიკაში. პოლიტიკურად უცოდინარი ხალხი, ვერ შეძლებს მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილება, რაც მათ მომავალს უკავშირდება და განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ მგრძნობიარე საკითხს, როგორიც არის მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმი.

გაუმართლებელია, რომელიმე იდეოლოგიის მხოლოდ იმ მიზეზით უარყოფა, რომ ის ატარებს რადიკალიზმის რისკებს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში, მსგავსი შეგონების გავრცელება ნებისმიერ იდეოლოგიასა თუ მსოფლაღქმაზე შეიძლება, რაც

რადიკალიზმისა და ფანატიზმის რისკებს, მხოლოდ მაშინ ატარებს, როდესაც ამა თუ იმ იდეოლოგიის გამოყენება ხდება სიბრძნისა და ცოდნის გარეშე.

საქართველო მრავალი საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა შეენარჩუნებინა საქრისტიანოს კერა, როდესაც ქართველი მეომრები სიცოცხლის ფასადაც კი ცდილობდნენ მის დაცვას უამრავი მტრის შემოტევისაგან. დაახლოებით ამაზე საუბრობს გოჩა მირცხულავა, რომელიც ცდილობს ეკლესია წარმოაჩინოს რუსული მარწუხების გამოვლინებად, მაგრამ ამ შემთხვევაშიც უნდა გავიმეოროთ ზემოთ თქმული შეგონება. უმთავრესი აზრი ენიჭება იმას, რომ უარი კი არ ვთქვათ მართლმადიდებლობაზე, არამედ უნდა მოხდეს მისი განთავისუფლება სხვადასხვა ცუდი ზეგავლენებისაგან. როდესაც სასულიერო პირთა კონკრეტული ჯგუფი იქცევა არამართლზომიერად, მსგავსი ადამიანები აქცენტის გაკეთებას ცდილობენ ეკლესიის მხოლოდ უარყოფით მხარეებზე და შეცდომებზე, რაც აშკარად დაიკვირვება საქართველოში.

„დღევანდელი ვითარების აღსაწერად მოხმობილი ეს მწირი ფაქტებიც კი საკმარისია იმის აღსანიშნავად, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ავტოკეფალიურ ეკლესიას, რუსეთის გავლენის ქვეშ დარჩენის გარდა, „ამ ეპოქაში'' უკვე სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზანი გაუჩნდა - ძალაუფლებაზე (ხელისუფლება) კონტროლის დაწესება. დიახ, ეკლესიას აქვს ახალი ფარული დოქტრინა - ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ბრძოლა სახელმწიფოს განვითარების ისტორიული ვექტორის შესაცვლელად. ვისთვისაა დამალული, რომ სწორედ ეკლესიაა დღეს რუსეთის უმთავრესი დასაყრდენი ამ ქვეყანაში და უხეში ძალის გამოყენების გარეშე მისი იდეოლოგიური და მენტალური ოკუპაცია სწორედ ეკლესიის მეშვეობით აქვს დაგეგმილი?'' (მირცხულავა, 2019).

მიუხედავად ყველაფრისა, ვერ დავეთანხმები იმას, რომ თუ ეკლესიაში არის გაუთვითცნობიერებელი მრევლი და არიან სასულიერო პირები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, ამის გამო ეკლესია თავიდან ბოლომდე რუსული მარწუხების გამოვლინებად ჩავთვალოთ და სრულიად დავივიწყოთ მისი ისტორიული ღვაწლი, რაც მიუძღვის ქვეყნის წინაშე. ის კი არ უნდა განეიტრალდეს, არამედ მოხდეს მისი რეფორმირება.

ამავე ლოგიკით, ხშირად ხდება, რომ ქვეყნის სათავეში მოდიან დიქტატორები, ავტორიტარი მმართველები, მაგრამ გათვითცნობიერებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ამის გამო სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი არ უნდა გამოაცხადოს ბოროტების მანქანად. ნებისმიერი ინსტიტუტი შეიძლება იყოს სიკეთისა და უკეთურობის მომტანიც. გამოსავალი ინსტიტუტის გაუქმება კი არა მისი რეფორმირებაა, მერკანტელისტებისა და მოღალატე ადამიანებისაგან განთავისუფლება და არა მისი შავი პიარი საზოგადოებაში, რასაც აქვს კონკრეტული მიზანი.

ეს მიზანი კი გულისხმობს ეკლესიის როლისა და ინსტიტუტის დაკნინების ხარჯზე საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას, რაც ურცხვად არის შეფუთული ფსევდოპატრიოტული პათოსით, რომელიც ყველაფერში რუსეთის მარწუხების მოქმედებას ხედავს. არადა სასაცილოა ყველაფერში რუსეთის სახელის მოხმობა, იმასთან დაკავშირებით, რაც მერკანტელისტი ადამიანების ინტერესებში არ შედის და ამით ცდილობენ საკუთარი ინტერესები დაიკმაყოფილონ, რაც მიუხედავად იმისა, რომ შეფუთულია ფსევდოპატრიოტული სულისკვეთებითა და პათოსით, ურცხვი სიყალბეა და მხოლოდ პირად მოტივებს ეფუძნება, რაც რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვას.

ჩემი ნაშრომის მთავარი მიზანია მართლმადიდებლობისა და ქართული ნაციონალიზმის სასიცოცხლო მნიშვნელობის წარმოჩენა ქართული მენტალიტეტისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ფორმირების საქმეში. შესაბამისად, ნაშრომი არ უკავშირდება სასულიერო პირთა ქმედებების გამართლებას, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც საუკუნეთა განმავლობაში, ქართული ნაციონალიზმის მაფორმირებელი მთავარი კერისა და ინსტიტუტის მნიშვნელობის დახასიათებას, ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და გადარჩენის გზაზე.

ნებისმიერ საქმიანობაში მთავარია ზომიერების, ანუ ოქროს შუალედის პოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაზე საუკეთესო რამაც კი უდიდესი ზიანის მომყენებელ იარაღად იქცევა. ბევრი ივიწყებს იმას, რომ უნდა ვებრძოლოთ კონკრეტულ პირებსა და მათ ზიანის მომტან ქმედებებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის მაგივრად. ფსევდოპატრიოტები, რომლებიც მრავლად არიან საქართველოში, ებრძვიან ინსტიტუტს და არა იმ ადამიანებს, რომლებიც სახელს

უტეხენ მას და ძალაუფლებას ბოროტად იყენებენ, რაც ქვეყნის დაღუპვის საწინდარი ხდება. ასეთი ადამიანების დამსახურებით, საქართველო სავალალო მდგომარეობაშია და რეალურად არავინ არ ცდილობს სახელმწიფოს გადარჩენას და გაუცნობიერებლად თუ მიზანმიმართულად, არაკეთილმოსურნეთა წისქვილზე ასხამს წყალს.

მაშასადამე, ყველაზე გონივრული ნაბიჯია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის არა უარყოფა, გაუქმება ან მისი მნიშვნელობისა და როლის დაკნინება, არამედ მისი რეფორმირება ისე, რომ არ იქცეს გარკვეულ პირთა გადაჭარბებული ძალაუფლების განხორციელების იარაღად, არამედ იყოს დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც ჩვენი სამშობლოს სულიერი და ფიზიკური გადარჩენის სადარაჯოზე დადგება, როგორც ისტორიულ წარსულში. მიუხედავად უამრავი პრობლემისა და წინაღობისა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, საქართველოს ეროვნული ინტერესების გატარების მთავარი შემომქმედია.

საბოლოო ჯამში, დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ დღევანდელი მსოფლიო სწრაფად იცვლება, შეინიშნება ნაციონალისტური კერების აღორძინება და მოსახლეობის პროტესტი, რომელიც მიმართულია სახელმწიფო მოხელეების არამართლზომიერი მოქმედებების წინააღმდეგ, ევროპის მასშტაბით. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არ უნდა იქცეს ინტეგრალური ნაციონალიზმის გამართლების საბაბად და არც თავაშვებული ფსევდოლიბერალიზმისა, რაც ასევე პოლიტიკური ძალაუფლების უმართებულო გამოყენებას გულისხმობს.

თავიდან უნდა ავიცილოთ ყოველგვარი რადიკალიზმი, ასევე ბრძოლა იმ ინსტიტუტების წინააღმდეგ, რომელთა მართლზომიერი ამუშავებით, შესაძლებელი გახდება სახელმწიფო აღმშენებლობის საქმეში უდიდესი წვლილის შეტანა. ეს ყოველივე კი მიიღწევა პოლიტიკური გათვითცნობიერებითა და საზოგადოების მზაობით, მიიღოს ქვეყნის ბედის განმსაზღვრელი, პოლიტიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ეს ყოველივე კი მიიღწევა სიბრძნითა და განათლებით, რაც დამოკიდებულია გამართული საგანმანათლებლო სისტემის ფორმირებაზე, რაც აშკარად, უპირველესი პრობლემაა საქართველოში.

დასკვნა

დღევანდელ საქართველოში იქმნება სამწუხარო რეალობა, როდესაც საზოგადოება არ არის გათვითცნობიერებული მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაში, რაც აისახება მათ მიერ მიღებულ მცდარ გადაწყვეტილებებში. ამის ნათელი მაგალითია არასახელმწიფოებრივი აზროვნება, მოლაპარაკებების წარმოების უუნარობა და პრაგმატიზმის ნაკლებობა.

გამომდინარე აქედან, გადავწყვიტე დამეწერა ნაშრომი მართლმადიდებლობის როლზე ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში. ქართული ნაციონალიზმი წმინდა სახით აღარ არსებობს, რაც გამოწვეულია მულტიკულტურალიზმის გავრცელებით, რაც მნიშვნელოვან კრახს განიცდის არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ვხედავთ ნაციონალისტური პარტიების მომძლავრებას ევროპის ქვეყნებში. ასეთივე განცხადებებს აკეთებს აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი.

ქართული ნაციონალიზმი, ქართული ეროვნული იდენტობის შენარჩუნების უმთავრესი ფაქტორი იყო. თვით ქართული ნაციონალიზმი კი საბოლოოდ მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაშენდა და საბოლოოდ დაუკავშირდა მას. ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითი არსებობს ისტორიული სინამდვილიდან. საყოველთაოდ ცნობილი გაზეთი „ივერია“, რომლის გამოცემაც დაიწყო 1877 წლიდან, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო იყო და მისი პროგრამის უმთავრესი ნაწილი შეეხებოდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებასა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას. ის დაკავშირებული იყო, ილია ჭავჭავაძის დროს ისევ გაცოცხლებულ ქართულ ნაციონალიზმთან. არსებობს ერთი ისტორიული ფაქტი, რომელიც შეეხება გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომრის გამოშვებას. როდესაც მისი პირველი ნომერი დაიბეჭდა, ქართველმა ისტორიკოსმა და მწერალმა, რაფიელ ერისთავმა, ამ გაზეთის ფურცლები თასში ჩადო და ზემოდან ღვინო დაასხა, რაც იყო ევქარისტიული (ზიარების) სიმბოლო. ეს ფაქტი ნათლად აჩენს ამ ხალხის დამოკიდებულებას მართლმადიდებლობის მიმართ, რომელსაც ისინიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასე, რომ ეროვნულობის დამცველი გაზეთის

„ზიარებით“, მათ ხაზი გაუსვეს მართლმადიდებლობის როლსა და ადგილს ქართული ეროვნულობის შენარჩუნებასა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში.

მოცემული თემის საკვლევად გამოვიყენე გამოჩენილი მოაზროვნეების ნაშრომები, მათ შორის მიხეილ წერეთლის „ოთხი ცნება“, ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების ნააზრევი, მათი შეხედულება ამ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე გავაანალიზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ეპისტოლეები. ეპისტოლეების ანალიზის შედეგად, დადასტურდა ჩემი ჰიპოთეზის ძირითადი აზრი. ჩემი ჰიპოთეზის მიხედვით, რაც უფრო ნაკლებად ვლინდება ქართულ რეალობაში მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ქართული ნაციონალიზმის ღირებულებები, მით უფრო ნაკლებად ხდება ეროვნული ინტერესების განხორციელება საქართველოში. ასევე დასტურდება იგივე აზრი სხვადასხვა გამოჩენილ მოაზროვნეებთან.

ამას გარდა, ხაზგასასმელია მიხეილ წერეთლის ნააზრევი, რაც უკავშირდება ნაციონალიზმის მნიშვნელობის აღწერას. ის მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა კოსმოპოლიტიზმის იდეას და ამტკიცებს, რომ ინტერნაციონალური ურთიერთობებისათვის და მრავალფეროვნებისათვის აუცილებელია დამოუკიდებელი ერების არსებობა. სწორედ ამაზე საუბრობს ვაჟა ფშაველა თავის ცნობილ პუბლიცისტურ წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი.“ ასევე, ჩავატარე თვისებრივი კვლევა, რაც გულისხმობდა ექსპერტული ინტერვიუს ჩატარებას. მოცემული საკვლევი თემის შესახებ ობიექტური დასკვნების მისაღებად, ინტერვიუ ჩავწერე სხვადასახვა სპეციალობის ექსპერტებთან. მრავალფეროვანი შედეგები სასარგებლოა უფრო ობიექტური დასკვნების მისაღებად.

მიღებული ინტერვიუების გაანალიზების შედეგად, დადგინდა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა უმეტესობა თვლის, რომ მართლმადიდებლობისა და კონკრეტულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელობა დიდია ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში. არა მარტო ამ საქმეში, მათი აზრით, აუცილებელია ეროვნული იდენტობის შენარჩუნება. მართლმადიდებლობა და

ქართული ნაციონალიზმი საერთოდ არ ეწინააღმდეგებიან ევროპულ კურსს. უფრო მეტიც ევროპული კურსი და ქართული იდენტობა, ერთობლივად უფრო მეტის მომცემი იქნება, უფრო გაამდიდრებს ევროპულ ოჯახსაც და ზოგადად კაცობრიობის კულტურულ საუნჯესაც. ერთადერთი გამონაკლისი აზრი გააჩნდა თეოლოგიის დოქტორ მირიან გამრეკელაშვილს, რომელიც ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობას, ეროვნული ინტერესების განხორციელების მიზნით, კონტრპროდუქტიულად მიიჩნევს. მისი აზრით, ეკლესიას აქვს მოძველებული წარმოდგენა სახელმწიფოზე, არ დაუშვებს მულტიკულტურალიზმის განხორციელებას და ცდილობს ეთნორელიგიური მოძღვრების დანერგვას. ამაში, როგორც უკვე აღვნიშნე, ვერ დავეთანხმები ბატონ მირიანს, რადგანაც მართლმადიდებლობის დაკავშირება გარკვეულ ეთნოსთან არასწორია. ის უნივერსალური ფენომენია, რომელიც გულისხმობს ყველას მისწრაფებას დედაეკლესიის წიაღში გაერთიანებისაკენ და ქრისტეში ერთობისაკენ. უფრო მეტიც, ჩემ მიერ გამოკითხულმა სასულიერო პირებმა ერთხმად დაადასტურეს ეთნორელიგიური მოძღვრების მცდარობა. ის დაგმობილია კიდეც, როგორც ეთნოფილეტიზმის ერესი.

კვლევის ლიმიტი: რა თქმა უნდა, კვლევის დროს აღმოჩნდა გარკვეული შეზღუდვები. არ გამაჩნდა მატერიალური და დროითი რესურსები უფრო რეპრეზენტატული კვლევის ჩასატარებლად. ასევე, რესპოდენტთა ნაწილი საერთოდ არ გამოეხმაურა ჩემს შეტყობინებას, ნაწილი საზღვარგარეთ იმყოფებოდა. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, შემცირდა ჩემი კვლევის რეპრეზენტატულობა.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა აზრი ამყარებს ჩემი ჰიპოთეზის არსს და გარკვეულწილად ადასტურებს მის სისწორეს. მართლმადიდებლობის როლი ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში უმნიშვნელოვანესია და ილია ჭავჭავაძის დროიდან დღემდე, განსაკუთრებულად გამოჩნდა მართლმადიდებლობის უდიდესი წვლილი ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პროცესში. ილია ჭავჭავაძის თანამედროვე ქართველი მამულიშვილები, ერთხმად აღიარებდნენ მართლმადიდებლობის წვლილს ქართული ეროვნული იდენტობის გადარჩენის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ადამია, მ. (2015). *ნაციონალიზმი და საქართველო*, მოძიებულია 10 იანვარი, 2019, http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/59316

ბუაძე, თ. (2017). *ქრისტიანული ფასეულობები და სოციალურ-პოლიტიკური მოწყობა,* მოძიებულია 12 აპრილი, 2019, http://www.orthodoxtheology.ge/faseulobebipolitikurimowyoba/?fbclid=IwAR3nVSkQERkhTY6Prraj8cEHMJPDoeMIeyqaf_zTzoSvWkWl6FkBAiqatZ8

ბუაძე, თ., & ორჟონია, ი. (2019). *რელიგია და პოლიტიკა.* ჟურნალი გული გონიერი (22), (გვ.12-15), მოძიებულია 15 ივნისი, 2019, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/295475/1/Guli_Gonieri_2019_N22.pdf

გამცემლიძე, დ. *ძირითადი ეროვნული ინტერესი*, მოძიებულია 12 აპრილი, 2019, http://experti.ge/KARTULI55m.htm?fbclid=IwAR3ZOPAcXMe1W3dluOr-htcHkrnymwQgc_DZOoa9h1ZQNR0XZgQxGKh9pu0

დემეტრაშვილი, ს. (2018). *მამუკა ბახტაძე-ძლიერი ქართული ეკლესია ნიშნავს ძლიერ ქართულ სახელმწიფოს,* მოძიებულია 12 ივნისი, 2019, https://1tv.ge/news/mamuka-bakhtadze-dzlieri-qartuli-eklesia-nishnavs-dzlier-qartul-sakhelmwifos/

ილია და „საერთო ნიადაგის“ თეორია. (2014). საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, „ილიალოგთა კლუბი.“ (გვ.6-8), მოძიებულია 12 აპრილი, 2019, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/76558/1/IliaDaSaertoNiadagisTeoria.pdf?fbclid=IwAR1_gUWuekqaNWp4m962C2hqV2YLlAxsStzDZXbZFupM6mq67KZDz-wPGL0

კეკელია, თ., გავაშელიშვილი, ე., & ლადარია, კ., და სხვები. (2013). *მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში: (XX საუკუნის ბოლო-XXI საუკუნის დასაწყისი).* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, მოძიებულია 10 იანვარი, 2019, http://opac.sciencelib.ge/cgi-bin/koha/opac-detail.pl?biblionumber=89755

ლორთქიფანიძე, ლ. (2017). *ქართული ნაციონალიზმის საფუძვლები (მონახაზი).* თბილისის ფაბიანური საზოგადოება, მოძიებულია 10 იანვარი, 2019, https://fabiansocialists.wordpress.com/2017/08/05/

ლორთქიფანიძე, ლ. (2017). *ქართული ნაციონალიზმის საფუძვლები (მონახაზი).* თბილისის ფაბიანური საზოგადოება, მოძიებულია 10 იანვარი, 2019, https://fabiansocialists.wordpress.com/2017/08/05/

მამალაძე, გ. (2014). *აღმსარებლობა და ქართული ნაციონალიზმი/ერთობის ფორმულა,* მოძიებულია 18 იანვარი, 2019, http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=44&id=1761

მაცაბერიძე, მ. (2018). *ერის ცნებისა და ნაციონალიზმის გააზრება საქართველოში,* მოძიებულია 19 იანვარი, 2019, http://politscience.info/filemanager/files/magistratura/politideologiebinacionalizmi/eri%20da%20%20%20nacionalizmi-rideri-1-2018.pdf

მაცაბერიძე, მ. (2015). *ოთხი ცნება.* (გვ.9-28), მოძიებულია 18 იანვარი, 2019, http://www.politscience.info/Filemanager/files/magistratura/politideologiebinacionalizmi/mixako-otxi-cneba-2015.pdf

მინესაშვილი, ს. (2017). *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძლებლობები.* საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. (გვ.3-7), მოძიებულია მაისი, 2017, http://gip.ge/wp-content/uploads/2017/05/პოლიტიკის-დოკუმენტი-8-სალომე-მინესაშვილი.pdf

მირცხულავა, გ. (2019). *საქართველოს ეკლესიის ფარული დოქტრინა-ბრძოლა ძალაუფლებისთვის,* მოძიებულია 12 ივნისი, 2019, http://qronikaplus.ge/?p=17587&fbclid=IwAR0L37xTiU2Odr_CAX6GKaYZgIwh0rT2wWIUC8dRWvUfs5citta_wHNgBCk

ნაციონალიზმი-იდეოლოგია თუ პატრიოტული სენტიმენტალობა? (2012). *Political Ideologies*, მოძიებულია 23 მაისი, 2019, politikuriideologiebi.wordpress.com/2012/12/28/ნაციონალიზმი-იდეოლოგია/

სააღდგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა. (1990), მოძიებულია 17 ივნისი, 2019, http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo1990.htm

სააღდგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა. (1993), მოძიებულია 17 ივნისი, 2019, http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo1993.htm

სააღდგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა. (2001). *გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №16(118), 2001 წ.*, მოძიებულია 17 ივნისი, 2019, http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2001.htm

საშობაო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა. (2007). *გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №1(401), 2007 წ.*, მოძიებულია 18 იანვარი, 2019, http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2007.htm

საშობაო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა. (1981), მოძიებულია 16 ივნისი, 2019, http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao1981.htm

საშობაო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა (1999), მოძიებულია 16 ივნისი, 2019, http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao1999.htm

საშობაო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა. (2000), მოძიებულია 16 ივნისი, 2019, http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2000.htm

საშობაო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა. (2004). *გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №2(261), 2004 წ.*, მოძიებულია 16 ივნისი, 2019, http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2004.htm

საშობაო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა (2005). *გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №2 (309), 2005 წ.*, მოძიებულია 16 ივნისი, 2019, http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2005.htm

საშობაო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა. (2006). *გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №2(355), 2006 წ.*, მოძიებულია 16 ივნისი, 2019, http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2006.htm

საშობაო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა. (2007). *გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №1(401), 2007 წ.*, მოძიებულია 16 ივნისი, 2019, http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2007.htm

ფშაველა, ვ. (1905). *კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი*, მოძიებულია 24 ივნისი, 2019, http://www.amsi.ge/istoria/div/kosmopolitizmi.html

ქართული ნაციონალიზმი/ქართული ბლოგი. (2011). ქართული ბლოგი, მოძიებულია 11 ივნისი, 2019, https://kartvelibichi.wordpress.com/2011/03/30/

ცხადაია, გ. (2009). *მართლმადიდებლური ეთნონაციონალიზმი*, მოძიებულია 18 იანვარი, 2019, https://ediscourse.wordpress.com/2009/05/

წერეთელი, მ. (1909). *ოთხი ცნება.* (გვ.2-3). *გაზეთი „დროება“ №169, 1909 წ.,* მოძიებულია 24 ივნისი, 2019, http://digitallibrary.tsu.ge/book/%212017/free/academia/publications/ts/droeba-1909-169-p2_3.pdf

ექსპერტული ინტერვიუ: ისტორიის დოქტორ დეკანოზ ლევან მათეშვილთან, 18 ივნისი, 2019;

ექსპერტული ინტერვიუ: ისტორიკოს დეკანოზ ილია ჭიღლაძესთან, 20 ივნისი, 2019;

ექსპერტული ინტერვიუ: დეკანოზ ალექსანდრე გიორგაძესთან, 21 ივნისი, 2019;

ექსპერტული ინტერვიუ: პოლიტოლოგ გიორგი სახელაშვილთან, 23 ივნისი, 2019;

ექსპერტული ინტერვიუ: თეოლოგიის დოქტორ მირიან გამრეკელაშვილთან, 24 ივნისი, 2019;

ექსპერტული ინტერვიუ: სამართალმცოდნე გიორგი ფარეშიშვილთან, 25 ივნისი, 2019.

დანართი #1

სიღრმისეული, ექსპერტული ინტერვიუ სასულიერო პირებთან, ისტორიკოსებთან, სამართალმცოდნეებთან, პოლიტოლოგებთან და თეოლოგ ექსპერტებთან;
სექცია I: გაცნობითი ხასიათის შეკითხვები;
ასაკი: სქესი: განათლება (პროფესია): საქმიანობა (მოღვაწეობის სფერო):
სექცია II: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელობა, პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაში და მისი როლი სახელმწიფო დონეზე;
1. როგორ განიხილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფო დონეზე? 2. რამდენად არის დაკავშირებული მართლმადიდებლობა და ქართული ნაციონალიზმი, ეროვნული ინტერესების განხორციელებასთან საქართველოში? 3. რაში ვლინდება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკურ დღის წესრიგში ჩართულობა? 4. რა როლი უჭირავს ეკლესიას სეკულარულ სახელმწიფოში? 5. რატომ უნდა მონაწილეობდეს ეკლესია სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაში? 6. რატომ ენიჭება ეკლესიას შეუზღუდავი ძალაუფლება, სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შემთხვევაში? 7. როდის ჩაითვლება ეკლესიის ჩარევა გადაჭარბებულად სეკულარულ სახელმწიფოში? 8. რაში ვლინდება მართლმადიდებლობისა და ქართული ნაციონალიზმის აქტუალურობა და მოქმედება, თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში?

სექცია III: მართლმადიდებლობისა და ქართული ნაციონალიზმის გავლენა, ეროვნული ფასეულობების ფორმირებაზე;
1. რატომაა დამოკიდებული ეროვნული ინტერესების გატარება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენის შესუსტებასა თუ გაძლიერებაზე? 2. რამდენად ახდენს გავლენას მართლმადიდებლობა და ქართული ნაციონალიზმი, ეროვნული ფასეულობების ფორმირებაზე? 3. ეროვნული ინტერესების ფარგლებში, რა როლი აქვს ილია ჭავჭავაძისეულ ცნობილ ტრიადას: ‘’მამული, ენა, სარწმუნოება?’’ 4. რა სახით ემსახურება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეროვნული ინტერესების გატარებას? 5. რამდენად შეძლებს საქართველო, საკუთარი ეროვნული ინტერესების განხორციელებას მართლმადიდებლობისა და ქართული ნაციონალიზმის გარეშე?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Zurab Kobaladze

The role of The Eastern Orthodox Christianity in the formation of Georgian nationalism

Master's Program in Political Sciences

The Thesis is done to obtain Master's Academic Degree in Political Sciences

Supervisor:

Doctor of Political Sciences, Giorgi Melikidze

Tbilisi

2019